პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 182 (20528) ◆ სამშაბათი, 8 აგვისტო, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

მიღებულია დადგენილება „ცენტრალური პარტიული პრესის გარდაქმნის ზოგიერთი საკითხის შესახებ“.

საბჭოთა საზოგადოების განახლების კურსში, რომელსაც ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, აღნიშნულია დადგენილებაში, აქტიურ როლს ასრულებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში საჯაროობის, გულახდილობის და სიმართლის დამკვიდრებით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებით ისინი ეხმარებიან პარტიას, მთელ ხალხს ობიექტურად გაიაზრონ წარსული და აწმყო, გამოავლინონ და აღმოფხვრან უძრაობისა და დაბრკოლების მიზეზები, ადამიანებს უღვიძებენ აღმშენებლობითი მუშაობის სურვილს, უყალიბებენ მათ აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას. ამასთან 1985 წლის აპრილის შემდეგ საზოგადოებრივი განვითარების გაკვეთილები ცხადყოფს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს თავად სჭირდებათ სრულყოფა და გარდაქმნა. მათი საქმიანობა ხშირად ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს, სრულად არ შეესაბამება პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს. პრესის ზოგიერთ ორგანოს ზოგჯერ ცალმხრივად ესმის თავისი როლი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების რეალიზაციაში, ამა თუ იმ ნაკლოვანების მხილებას სჯერდება და მთელ ძალებს არ ახმარს გაღრმავებულ ანალიზს, კონსტრუქციულ მუშაობას, გარდაქმნის მწვავე პრობლემების გადაჭრაში საზოგადოების მთელი ძალების კონსოლიდაციას.

პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას ეწინააღმდეგება, ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების ათწლეულების წინათ ჩამოყალიბებული სტრუქტურა. პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების გამიჯვნა საჭიროს ხდის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გარდაქმნასთან ერთად განხორციელდეს პარტიული პრესის მუშაობის გარდაქმნა, გაიზარდოს მისი ეფექტიანობა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტ ეტაპზე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია გაზეთ „პრავდის“, ცენტრალური პარტიული გაზეთებისა და ჟურნალების, მთელი პარტიული პრესის ძალები მოახმაროს პრესის უფრო სრულ გამოყენებას იმ კურსის რეალიზაციაში, რომელიც შეიმუშავეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და მომდევნო პლენუმებმა, პარტიის XXVII ყრილობამ და რომელიც განამტკიცა XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ. პარტიული პრესა მოწოდებულია, უფრო აქტიურად შეუწყოს ხელი გარდაქმნის ტექნიკური არსენალისა და პრაქტიკული გამოცდილების ზრდას, პარტიის, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის, ლენინური კონცეფციის აღორძინებას, ქვეყნის განვითარების, განახლების იდეოლოგიის, მასებში ორგანიზატორული მუშაობის, საკადრო პოლიტიკის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობის, პარტიისა და მთელი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების დემოკრატიზაციის უმნიშვნელოვანესი საკითხების დამუშავებას.

პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების გამიჯვნის, ვიწროუწყებრივი და ტექნოკრატიული მიდგომისაგან პარტიული პრესის განთავისუფლებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გზის შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება განსაზღვრავს ცენტრალური პარტიული გაზეთებისა და ჟურნალების სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებებს. გადაწყდა, გაზეთების „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ და „სტროიტელნაია გაზეტას“ ბაზაზე 1990 წლიდან შეიქმნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური გაზეთი „რაბოჩაია ტრიბუნა“. ახალმა გამოცემამ ფართოდ უნდა გააშუქოს მუშათა კლასის ცხოვრება, ყოველმხრივ წარმოადგინოს მისი გადამწყვეტი როლი თანამედროვე საბჭოთა საზოგადოებაში, სახელმწიფო საქმეების მართვაში, გამოხატოს მშრომელი მასების პოზიცია საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი, აქტიურად შეუწყოს ხელი სსრ კავშირის ხალხთა კონსოლიდაციას გარდაქმნისათვის ბრძოლაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოველკვირეული „ეკონომიჩესკაია გაზეტა“ პროფილის შეცვლის შემდეგ 1990 წლიდან გადაკეთდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოველკვირეულ მასობრივ გაზეთად და დაერქმევა „ეკონომიკა ი ჟიზნ“. მისი ამოცანაა ფართოდ და პოპულარულად გააშუქოს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები, რადიკალური ეკონომიკური რეფორმის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები, საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობის გარდაქმნის კონკრეტული გამოცდილება, წარმოაჩინოს სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების რეალური კავშირი ადამიანების ინტერესებთან და მოთხოვნილებებთან, საზოგადოების ყველა ფენისა და სოციალური ჯგუფის ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ყოველკვირეული „ვესტნიკ აგროპრომა“ — გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ დამატება 1990 წლიდან გადაკეთდება ყოველკვირეულ დამატებად „ზემლია ი ლიუდი“, რომელმაც ყოველმხრივ და ღრმად უნდა წარმოაჩინოს სოფლად სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნა საკუთრების სხვადასხვა ფორმის მეშვეობით, დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციებს შრომით კოლექტივებში შექმნან ხელშემწყობი ვითარება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ათვისების, გადამამუშავებელი მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქციის განხორციელების მიზნით.

იმისათვის, რომ გაიზარდოს მასალების ანალიზურობა, შემცირდეს ინფორმაციის გამეორება, გაფართოვდეს სკკპ ცენტრალური გაზეთების ნომრების თემატური შინაარსი, „სოვეტსკაია კულტურა“ და „უჩიტელსკაია გაზეტა“ 1990 წლიდან გადავლენ ყოველკვირეულ გამოშვებაზე. დამატება „არქიტექტურა“, რომელსაც გამოსცემს „სტროიტელნაია გაზეტა“, გადაეცემა გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“, რომელიც აგრეთვე გამოუშვებს ახალ ყოველკვირეულ დამატებას „ეკრან ი სცენას“, თეატრისა და კინოს ცხოვრების გაშუქებაზე რომ იქნება დასპეციალებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ითვალისწინებს, უფრო აქტუალური გახადოს პარტიული ჟურნალების შინაარსი, ამაღლოს მათი თეორიული და პროფესიული დონე. გადააქციოს ეს გამოცემები მასობრივი, ყველაზე ფართო მკითხველისათვის განკუთვნილ პერიოდიკად. ჟურნალ „კომუნისტის“ რედაქცია მოწოდებულია უფრო თანმიმდევრულად განახორციელოს გამოცემის, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის მთავარი ფუნქციები, უფრო აქტიურად შეუწყოს ხელი სოციალიზმის განახლების თეორიისა და პრაქტიკის განვითარებას, საბჭოთა საზოგადოების გარდაქმნას, და გამოიყენოს ამისათვის მკითხველთა ფართო დისკუსიები, პუბლიცისტიკის ეფექტიანი საშუალებანი. გარდასაქმნელია ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნის“ მუშაობა. მისმა შინაარსმა უნდა განსაზღვროს პარტიის საქმიანობის განახლების, შინაპარტიული ურთიერთობის დემოკრატიზაციის საკითხები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სოციალური ლიდერობის პრობლემები, მისი, როგორც საზოგადოების პოლიტიკური და ინტელექტუალური ავანგარდის როლი. ჟურნალის მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს ახალი ტიპის პარტიული მუშაობის ფორმირებას, რომელიც ორიენტირებული იქნება ქვეყანაში პრინციპულად ახალი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე მუშაობის პოლიტიკური ფორმებისა და მეთოდების ათვისებაზე.

გადაწყდა, 1990 წლიდან შეიქმნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „დიალოგი“, და ამავე დროს შეწყდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალების „აგიტატორისა“ და „პოლიტიჩესკოე ობრაზოვანიეს“ გამოშვება. ჟურნალ „დიალოგის“ ამოცანაა გააშუქოს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ფორმების მრავალფეროვნება, აქტიურად ჩამოაყალიბოს კონსტრუქციული დამოკიდებულება გარდაქმნისადმი, წარმოადგინოს სხვადასხვა თვალსაზრისი, ხელი შეუწყოს იდეოლოგიური მუშაობის განახლებას, რუტინის, ლაყბობისა და შაბლონისაგან მის განთავისუფლებას, ზეპირი პოლიტიკური პროპაგანდის, აგიტაციისა და პარტიული სწავლების სრულყოფას, გამართოს გულახდილი საუბარი ადამიანებთან საშინაო და საგარეო პოლიტიკური ცხოვრების, მეცნიერებისა და განათლების განვითარების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის ყველა იმ საკითხზე, რომლებიც მათ აინტერესებთ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს გადასინჯონ თავიანთი გამოცემების სტრუქტურა და 1990 წლისათვის შეუსაბამონ იგი ამ დადგენილების მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში პროფილი შეუცვალონ პარტიულ ბიუჯეტზე მყოფ პრესის დარგობრივ ორგანოებს, განახორციელონ მათი შინაარსის გაუმჯობესების, ზარალიანობის შემცირების ღონისძიებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტს და უკრაინის კომპარტიის კიევის საქალაქო კომიტეტს მიენიჭათ უფლება მოკავშირე რესპუბლიკების პრესის სახელმწიფო კომიტეტებთან და მათ ადგილობრივ ორგანოებთან ერთად დამოუკიდებლად გადაწყვიტონ რაიონული, საქალაქო, გაერთიანებული, საოლქო, საღამოს საქალაქო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების, აგრეთვე სარეკლამო-საინფორმაციო პერიოდული გამოცემების გახსნის, დახურვისა და მათთვის სახელწოდების შეცვლის საკითხები, ამ მიზნით რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქებისათვის გამოყოფილი ქაღალდის ფონდის ფარგლებში და იმ პირობით, რომ ახალი გამოცემები რენტაბელური იქნება. იმ საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების გახსნისა და დახურვის გადაწყვეტილებანი, რომლებიც პარტიული კომიტეტების ორგანოებს წარმოადგენენ და პარტიულ ბიუჯეტზე არიან, ძალაში შედის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.

ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების გამოცემების — მათ შორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მხატვრულ-ლიტერატურული, დარგობრივი, სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური, სარეკლამო-საინფორმაციო პერიოდული გამოცემების გახსნასა და დახურვასთან, აგრეთვე მათი მოცულობისა და პერიოდულობის, რედაქციების ხელფასისა და საავტორო ჰონორარის ფონდების შეცვლასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს სსრ კავშირის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით ყველა გაზეთისა და ჟურნალის საქმიანობის დაწყებასა და შეწყვეტას არეგულირებს კანონი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

სესია იწყებს „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური მომსახურების გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის კანონის პროექტის განხილვას.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა **ვ. ს. პავლოვმა.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და კომისიების სახელით თანამოხსენება გააკეთა ვეტერანებისა და ინვალიდების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ვ. ბოსენკომ.**

შემდეგ დაიწყო კამათი. მასში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ვ. ი. მატვიენკო, ტ. ი. გოსნოვი, ვ. ი. ციბუხი, ლ. ა. არუთინიანი, ნ. ვ. ივანოვი** და სხვ.

შემდეგ დეპუტატთა კითხვებს უპასუხა ვ. ს. პავლოვმა.

დეპუტატები იღებენ გადაწყვეტილებას: ამ საკითხზე კანონის პროექტი, გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, განიხილონ საღამოს სხდომაზე.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დეპუტატთა ჯგუფს საჭიროდ მიაჩნია ზოგიერთი კორექტივის შეტანა სახელმწიფო საწარმოს შესახებ სსრ კავშირის კანონში, რომელიც აფართოებს შრომითი კოლექტივების სამეურნეო დამოუკიდებლობას. მან წინადადება წამოაყენა შესწორებების მომზადება დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ლ. ი. აბალკინსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შესაბამის კომიტეტებს.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა ტ. ხ. გდლიანის მეთაურობით სსრ კავშირის პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული მასალების შემმოწმებელი დეპუტატთა კომისიის თავმჯდომარის **რ. ა. მედვედევის** ინფორმაცია. სახალხო დეპუტატებისა და მოქალაქეების მრავალრიცხოვანი შეკითხვების გამო, აღნიშნა მან, საჭიროდ მივიჩნია გაცნობოთ, რომ კომისია უსმენს დაინტერესებულ პირებსა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, სწავლობს მრავალრიცხოვან დოკუმენტებს. თავის დასკვნებს იგი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას მოახსენებს.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთში სახელმწიფო ვიზიტების შედეგების შესახებ სხდომაზე ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა.**

შემდეგ მან უპასუხა დეპუტატთა კითხვებს.

სიტყვა ითხოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ა. ს. ძასოხოვმა.** ამ საფუძვლიანი გამოსვლით, აღნიშნა მან, დასაბამი მიეცა საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი სახელმწიფოს საქმიანობის საკვანძო საკითხების შესახებ ჩვენი უმაღლესი საბჭოსათვის ინფორმაციის გამუდმებით მიწოდების ახალ და მეტად საჭირო ტრადიციას. არსებითად გარდაქმნით შობილ პარლამენტს დღის პოლიტიკური ანგარიში წარუდგინა მისმა თავმჯდომარემ უმაღლესი დონის მოლაპარაკების შედეგების შესახებ. ვფიქრობ, რომ სახალხო დეპუტატთა საერთო აზრს გამოვთქვამ ამ მნიშვნელოვანი და სასურველი პრეცედენტის დამკვიდრების თაობაზე.

ორატორმა შესთავაზა დეპუტატებს მიიღონ მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი ბირთვულ აფეთქებაზე მორატორიუმისა და ბირთვული გამოცდის შეწყვეტის საკითხების შესახებ, და აღნიშნა, რომ, თუ უმაღლესი საბჭოს წევრები მხარს დაუჭერენ ამ დოკუმენტს, მას დიდი პოლიტიკური რეზონანსი ექნება და დააჩქარებს ამ საკითხის გადაწყვეტას.

საღამოს სხდომაზე დეპუტატებმა დაადგინეს, ცნობად მიიღონ მ. ს. გორბაჩოვის ინფორმაცია და მოიწონონ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელმწიფო ვიზიტების შედეგები.

სესია იწყებს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვის პროექტის განხილვას, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები **ნ. ს. პეტრუშენკო, ე. პ. ველიხოვი** და სხვები. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აქტუალურია ეს დოკუმენტი, გამოთქვეს იმედი, რომ მას დადებითად უპასუხებს ამერიკის მხარე.

უმაღლესი საბჭო კენჭისყრით იღებს მიმართვის ტექსტს.

შემდეგ განაგრძეს „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური მომსახურების გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის კანონის პროექტის განხილვა.

ახსნა-განმარტებით გამოვიდნენ სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი **ვ. ს. პავლოვი,** შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. ი. შჩერბაკოვი,** აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს შრომის, ფასებისა და სოციალური პოლიტიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. ნ. გრიცენკო.**

პროექტის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **პ. ვ. შეტკო, ა. ი. გოლიაკოვი, ბ. ნ. ნიკოლსკი, ლ. ი. სუხოვი** და სხვები. დისკუსიის დროს უაღრესად მწვავედ დაისვა საკითხი, რომ საჭიროა იმ მეომრების უფლებები, რომლებიც ვალს იხდიდნენ ავღანეთში, გაუთანაბრდეს დიდი სამამულო ომის მონაწილეთა უფლებებს.

განხილვის შედეგების შეჯამებისას **მ. ს. გორბაჩოვმა** თქვა: სანამ მივიღებდეთ გადაწყვეტილებას, ვფიქრობ, ამხანაგ ავღანელებს, რომლებიც აქ გამოდიოდნენ, უმაღლესი საბჭოს სახელით უნდა ვუთხრათ, რომ მათ სწორად დააყენეს საკითხი. ისინი იხდიდნენ თავიანთ ვალს, ყველაფერს, რაც დაავალა სახელმწიფომ, ქვეყანამ, პირნათლად ასრულებდნენ. ეს არ არის სადისკუსიო საგანი. ამიტომ ეს საკითხი უკვე ნათელია.

დღეს საქმე ეხება იმას, რის შესახებაც ამხანაგმა პ. ვ. შეტკომ დაწერა აქ, — რომ ჩვენ უმაღლეს საბჭოში შეფასება უნდა მივცეთ ყველაფერს, რაც მოხდა, შევაჯამოთ შედეგი. ეს საქმის სხვა მხარეა, და, ვფიქრობ, რომ ამ საკითხშიც უნდა შევიტანოთ გარკვეულობა.

ახლა მივუბრუნდეთ კანონს. ჩვენ ყველანი საერთო აზრისა ვართ იმაში, რომ ვიღებთ კანონს. საკითხები, რომელთა ასე თუ ისე დიდი ხნით გადადება არ შეიძლება, უნდა განიხილონ მთავრობამაც, კომიტეტებმაც დამუშავების დამთავრებისას. ამ კითხვებზე პასუხს უნდა მივაგნოთ შემდგომი მუშაობის დროს და წარმოვადგინოთ 1 ოქტომბრისათვის. ამას ყველანი ვეთანხმებით, თუმცა ნამდვილად საჭიროა დახვეწა.

[illegible] — მეომარ ავღანელებზე გავავრცელოთ ის, რომ ჩვენ მათ მივაკუთვნებთ დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, კერძოდ მედიკამენტებისა და მგზავრობის საკითხებში. ვფიქრობ, პრობლემის სიმწვავისა და სპეციფიკურობის გამო დავეხმარებით ჩვენს მთავრობას გამოძებნოს მის გადაწყვეტაში ახალი წყაროების ჩაბმის შესაძლებლობა.

ტრიბუნაზეა **ნ. ი. რიჟკოვი.** პრობლემები, რომლებზეც აქ ლაპარაკია, თქვა მან, არსებობს, და ისინი უნდა გადავჭრათ. ჩვენ დიდი გაჭირვებით ვასრულებდით სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და უმაღლესი საბჭოს სესიის დავალებას, რათა ჩამოგვეყალიბებინა უპირველესი ღონისძიებანი პენსიების მომატებისათვის და შესაბამისად გამოგვეძებნა დაფინანსების წყაროები. უნდა ითქვას, რომ ეს წყაროები ეხება ჩვენი საწარმოების ცხოველმოქმედებას. თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ მოგვიწევს დიფერენცირებულად, მაგრამ არა უმეტეს 30 პროცენტით, გავზარდოთ სადაზღვევო ტარიფები იმისათვის, რომ გამოვძებნოთ ხუთი მილიარდი მანეთი. ერთი მილიარდი მანეთი შეიძლება გამოიყოს აპარატის მუშაკთა შრომითი რესურსების გადასახდელების ერთიორად გაზრდის ხარჯზე. ყველა პრობლემა, რომლებიც აქ წამოიჭრა, საგულდაგულოდ უნდა განვიხილოთ პენსიების შესახებ კანონის მომზადებისას, რომელიც უმაღლესი საბჭოს დადგენილების თანახმად, უნდა წარმოვადგინოთ ოქტომბერში.

რა თქმა უნდა, ეს რთული პრობლემებია, ძალზე დიდი მუშაობა მოგვიწევს ერთად, რადგან არა მარტო უნდა მივიღოთ ისინი, არამედ უმალ გავარკვიოთ, როგორ, საიდან ავიღოთ ფული შემდეგი ხუთწლედებისათვის.

რაც შეეხება კონკრეტულად მეომარ ავღანელებს, ჩემი წინადადება ასეთი იქნება: ახლა კანონი მაინც უნდა მივიღოთ. საგულდაგულოდ უნდა გავითვალისწინოთ, გამოვიანგარიშოთ ფულად ერთეულში ის შეღავათები, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ ინტერნაციონალისტი მეომრები გავუთანაბროთ დიდი სამამულო ომის მონაწილეებს. მე წამოვაყენებდი ასეთ წინადადებას: დაევალოს მთავრობას 1990 წლის გეგმასთან და ბიუჯეტთან ერთად წარმოადგინოს ეს მოსაზრებანი, რათა 1 იანვრიდან გადავწყვიტოთ ეს საკითხი.

მაგრამ სხვა რამესაც გთხოვდით. ყველას დიდი სურვილი გვაქვს დავეხმაროთ ადამიანებს. მაგრამ ასეთივე ენთუზიაზმით უნდა განვიხილოთ მეორე ნაწილიც, როცა ვლაპარაკობთ იმაზე, თუ საიდან ავიღოთ ფული. მიმაჩნია, რომ სოციალური სამართლიანობა სწორედ იმით გამოიხატება, რომ ვიღაცამ ვიღაცას უნდა უწილადოს ასეთ კონკრეტულ შემთხვევაში.

ხმა ადგილიდან: ჩვენ, ავღანეთის ომის ვეტერანები ვეთანხმებით ამას.

მ. ს. გორბაჩოვი: მაშასადამე, პრინციპული თვალსაზრისით აზრთა სხვადასხვაობა არ არის. არის ვადის საკითხი, რათა მთავრობამ მიიღოს სახსრების გამონახვის შესაძლებლობა.

კანონის პროექტს კენჭს უყრიან. დისკუსიის დროს გამოთქმული წინადადებებისა და დამატებების გათვალისწინებით კანონს იღებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების ცალ-ცალკე კენჭისყრით.

სხდომა დამთავრდა.

(საქდესი).

(დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 180).

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის ახალი მიდგომებისა და პარამეტრების შესახებ

ი. დ. მასლიუკოვის გამოსვლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე

ამხანაგო დეპუტატებო! მიმდინარე წლის აგვისტოში სსრ კავშირის მთავრობას, ხოლო სექტემბერში — უმაღლეს საბჭოს, მის კომისიებსა და კომიტეტებს მოელით უაღრესად რთული მუშაობა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის განსახილველად და ფრიად პასუხსაგები და ძნელი სახელმწიფო გადაწყვეტების მისაღებად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო, სხვა ცენტრალური ეკონომიკური ორგანოები ამჟამად ამთავრებენ მუშაობას გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე. ყველაფერი როდი მიგვიდის რიგზე და, გულახდილად რომ ვთქვათ, ბევრი რამ ჯერ კიდევ არ გამოგვდის იმ სახით, როგორც ჩვენ გვინდა, თუმცა ვისწრაფვით შევიმუშაოთ სწორედ აქტიური და კონსტრუქციული წინადადებანი შექმნილ პირობებში.

ამთავითვე შემიძლია ვთქვა, რომ გეგმის პროექტი საბოლოოდ ჩამოყალიბდება მაშინ, როდესაც მთავრობა დახვეწს და სახელმწიფო გეგმად გადაიქცევა, როდესაც მას განიხილავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მაგრამ მისდამი მთავარი მიდგომები და მისი პარამეტრები, მთავარი პროპორციები, პრიორიტეტები, ყველაზე საჭირბოროტო პრობლემები, მათი გადაჭრის გზები და საშუალებანი ძირითადად უკვე გამოიკვეთა. მათ შესახებ მინდა მოგახსენოთ უკვე ახლა, მაგრამ ეს თემა და ეს სამუშაო იმდენად რთულია, რომ ლოგიკურ დასასრულამდე მისი მიყვანა, რა თქმა უნდა, მოგვიწევს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მთელი კორპუსის დახმარებით.

უწინარეს ყოვლისა, მინდა აღგითქვათ თქვენ, ამხანაგო დეპუტატებო, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, ცენტრალური ეკონომიკური უწყებების, სამინისტროების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და საწარმოების მუშაობა სახელმწიფო, რესპუბლიკურ და სხვა გეგმებზე მიზნად ისახავდეს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მაქსიმალურ გაუმჯობესებას, ხოლო მუშაობის დამამთავრებელ ეტაპზე, — აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის გადაწყვეტილებების სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელ სესიაზე გამოთქმული სურვილებისა და დეპუტატთა განაწესების განხორციელებას. ეს ეხება არა მარტო იმას, რომ გავითვალისწინოთ გეგმაში ყრილობის გადაწყვეტილებანი პენსიების შესახებ, არამედ პრინციპული დებულებებიც სტრუქტურულ-საინვესტიციო პოლიტიკის შესახებ, ეკონომიკური რეფორმის განვითარების შესახებ, ერთი სიტყვით იმ მრავალ საკითხზე, რომლებზეც აზრი გამოთქვეს ყრილობამ და უმაღლესმა საბჭომ. მინდა აღგითქვათ, ამხანაგო დეპუტატებო, რომ არც ერთი თქვენი გამონათქვამი არ დაგვრჩენია უყურადღებოდ. სხვა საქმეა, და ეს თავად განსაჯეთ, თუ როგორ შევძლებთ ჩვენ და შემდეგ მთავრობა, ხორცი შევასხათ ყოველივე ამას ისეთ ძნელ გეგმაში, როგორიც არის 1990 წლის გეგმა, რომელიც, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, საგანგებო ხასიათს ატარებს.

შეგახსენებთ ამოსავალ ბაზას, საიდანაც შევუდექით ჩვენ 1990 წლის გეგმის პროექტზე მუშაობას. სახელმწიფო ვალმა მიმდინარე წლის დამდეგისათვის მიაღწია 312 მილიარდ მანეთს, ბიუჯეტის დეფიციტმა — 120 მილიარდ მანეთს. მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდა თითქმის 2-ჯერ უსწრებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდას. აქედან მომდინარეობს ემისიაც, ე. ი. ისეთი ფულის გამოშვება, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ემისიამ შეადგინა 8,9 მილიარდი მანეთი. ჩვენი საგარეო-ეკონომიკური ვალი 34 მილიარდი მანეთია, და ჯერჯერობით ვერ შევგიჩერებია მისი შემდგომი ზრდა. ამ სიტუაციას ღრმად აქვს გადგმული ფესვი, მასზე დაწვრილებით ილაპარაკეს, და აქ აღარ მოვყვები გამეორებას. მთავარია, რომ 1990 წლის გეგმამ კი არ გააღრმაოს, არამედ გამოასწოროს მდგომარეობა. ეს არის გეგმა, რომელიც ამთავრებს მიმდინარე ხუთწლეულს, ხუთწლეულს, რომლის უკანასკნელ წლებს ახასიათებდა უკიდურესი ეკონომიკური და სოციალური დაძაბულობა. ჩვენი ღრმა რწმენით, 1990 წლის გეგმა, ჯერ ერთი, მოწოდებულია შეაჩეროს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და რეალურად დააცხროს სოციალური დაძაბულობის ზრდა საზოგადოებაში.

(დასასრული მე-2 გვ.).

საბჭოები განახლების რეალური ძალა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე განიხილეს მთელი რიგი კანონპროექტების შემუშავებისათვის მუშაობის მიმდინარეობა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის აქტუალური პრობლემები.

ინფორმაცია საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის მუშაობის შესახებ გააკეთა მისმა თავმჯდომარემ, პროფესორმა ა. ალექსიძემ. მან აღნიშნა, რომ კომისიის საქმიანობა ერთბაშად რამდენიმე მიმართულებით წარმოებს: იგი სწავლობს ხელშეკრულების დადების წინ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას; ამ აქტის იურიდიულ და საერთაშორისო-სამართლებრივ ასპექტებს; აანალიზებს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ საარქივო მასალებს. ამ მიმართულებებს სათავეში უდგანან ცნობილი სამართალმცოდნენი, იურისტები, ისტორიკოსები. კომისიის მიერ შემადგენლობა იმგვარად ჩამოყალიბდა, რომ მასში წარმოდგენილი ყოფილიყო ალტერნატიული აზრები, რაც, უთუოდ, მისი ნაყოფიერი საქმიანობის საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს. პრეზიდიუმმა მოიწონა კომისიის პირველ ეტაპზე გაწეული მუშაობა და აღნიშნა, რომ მან შემდგომში ხანგრძლივი, საგულდაგულო კვლევა უნდა აწარმოოს. ამასთან, ამ საკითხის მნიშვნელობის და საზოგადოებრიობის სურვილის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ კომისიის წინასწარი დასკვნა სექტემბერში განსახილველად გაიტანონ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

დღეს ჩვენი რესპუბლიკის წინაშე მწვავედ დადგა მიგრაციული პროცესების პრობლემა. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამ საკითხების გამო შექმნილი კომისიის სახელით გამოვიდა მისი თავმჯდომარე, პოეტი ჯ. ჩარკვიანი. როგორც მან აღნიშნა, უკვე საწყის ეტაპზე გაწეულ მუშაობას მივყავართ დასკვნამდე, რომ სხვადასხვა ცვლილება და დამატებაა შესატანი რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობაში. ისინი, კერძოდ, ეხება მიწათსარგებლობას, საქართველოს ფარგლებს გარედან მუშახელის შემოყვანას, ზოგიერთ სხვა ასპექტს. ამ საკითხების გადაწყვეტის, შესაბამისი წინადადებების წამოყენების დროს, აღინიშნა სხდომაზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს რთულ დროში, როცა სწრაფად მიმდინარეობს მიგრაციული პროცესები, ჩვენი ამოცანაა ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ როგორც არ უნდა წარიმართოს ადამიანების ბედი, ისინი ყოველთვის მეგობრებად დარჩნენ. შესაძლოა, ამას ხელი შეუწყოს კომისიის მიერ შემოთავაზებულმა იდეამ, რომ რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან შეიქმნას კავკასიელი ხალხების კომისია.

ამ ჰუმანურ საფუძველზე უნდა აიგოს რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაც. ეს საქართველოს რეალური სუვერენიტეტის უზრუნველყოფისათვის საკანონმდებლო მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. თავის ინფორმაციაში სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, პროფესორმა ს. ჯორბენაძემ თქვა, რომ ამ საკითხის შესწავლის დროს ხდება როგორც ჩვენი გამოცდილების, ისე არსებული საზღვარგარეთული პრაქტიკის განზოგადება. დასახულია უფრო ფართოდ ჩავაბათ ამ საქმეში სამეცნიერო ცენტრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და, ეგრეთ წოდებული არაფორმალური გაერთიანებები.

მოისმინეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის სამუშაო ჯგუფის ინფორმაცია, რომელიც გააკეთა პრეზიდიუმის წევრმა, ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. კვაჭაძემ. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო საკითხებს, რომლებიც ეხება რესპუბლიკის სუვერენიტეტის გაფართოებას, კერძოდ, სსრ კავშირის კანონების მოქმედების შეჩერების უფლებას, თუ ისინი არ შეესაბამება მის ინტერესებს. პრეზიდიუმმა ცნობად მიიღო, რომ სამუშაო ჯგუფმა მოამზადა შესაბამისი წინადადებანი და შეიტანს მათ შემდგომი განხილვისათვის.

საბჭოების მუშაობის შესახებ ადამიანები კონკრეტული საქმეებით მსჯელობენ. ეს შეუვალი ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ დადასტურდა ყვარლის რაიონში. ადგილობრივ საბჭოებთან შექმნილ მუდმივ კომისიებს ჯერ კიდევ ვერ დაუძლევიათ ფორმალიზმი საქმიანობაში, სჯერდებიან მეორეხარისხოვანი საკითხების განხილვას, არ ისმენენ სხვადასხვა დონის ხელმძღვანელთა ანგარიშებს. ასეთმა მიდგომამ არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტზე, რომელმაც დღეს უნდა გაიყოლიოს ადამიანები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საჭირბოროტო პრობლემების შესახებ ყველაზე ფართო დისკუსიების ადგილი გახდეს. მიტინგებზე კი არა, სესიებზე უნდა გადაწყდეს ბევრი საკითხი, რომლებიც აწუხებთ ადამიანებს. მოისმინა რა ყვარლის რაიაღმასკომის თავმჯდომარის ა. გავაშელიშვილის მოხსენება ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ, პრეზიდიუმმა განაცხადა, რომ უნდა გააძლიერონ რაიონის მშრომელთა წინაშე წამოჭრილი საარსებო საკითხების გადაწყვეტაში მათი როლი და შესრულებისადმი კონტროლი, საქმიანობა ააგონ საჯაროობისა და დემოკრატიის პროცესების გაღრმავების პრინციპებზე.

მოისმინეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დამტკიცდა გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევის საოლქო-საარჩევნო კომისიების შემადგენლობანი.

სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია, განიხილეს ზოგიერთი სხვა საკითხიც, რომელთა გამო შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღეს.

(საქინფორმი).

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

7 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გ. გ. გუმბარიძეს წარუდგინეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ახალი სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ა. პატრიკეევი.

გამართული საუბრის დროს აღინიშნა, რომ არმია და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები მშვიდობიან დროს მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ფუნქციებს უნდა ასრულებდნენ, ზრდიდნენ თავიანთ საბრძოლო მზადყოფნას, საიმედოდ იცავდნენ ქვეყნის სამხრეთის საზღვრებს.

ამავე დროს, ოლქის პოლიტორგანოებისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების წინაშე დგას ურთიერთობის გაძლიერების, მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესების, ახალგაზრდობას შორის მხედრული სამსახურის, ოფიცრის პროფესიის პრესტიჟის ამაღლების დიდი ამოცანები.

მთლიანად უნდა აღდგეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრებისა და რესპუბლიკის მოსახლეობის ტრადიციული ურთიერთობა, რაც ხელს შეუწყობს გარდაქმნას, დემოკრატიზაციის პროცესების დაჩქარებას არმიაში, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ი. პავშენცევი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგე ო. კ. გონაძე. (საქინფორმი).

გამოვიდა ბროშურა

გამოიცა ბროშურა „პარტიის გარდაქმნა დღის უმნიშვნელოვანესი საკვანძო ამოცანაა. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნების თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, 1989 წლის 18 ივლისი“.

მასში შევიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება და საბოლოო სიტყვა. გარდაქმნის პირობებში პარტიული მუშაობის საკითხებისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის თათბირის სხვა მასალები.

ბროშურა, რომელიც პოლიტგამმა გამოუშვა, დაიბეჭდა „წითელი პროლეტარის“ სტამბაში.

(საქდესი).

სარაკეტო ბაზების ლიკვიდაცია

საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად საბჭოთა კავშირში გრძელდება სარაკეტო ბაზების ლიკვიდაცია, რომლებზეც წინათ განლაგებული იყო ხელშეკრულებით მოცული საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტები.

ამჟამად ლიკვიდირებულია 39 სარაკეტო ბაზა. საშუალო სიშორის რაკეტების მორიგი სარაკეტო ბაზა ლიკვიდირებული იქნება 1989 წლის სექტემბერში. (საქდესი).

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის ახალი მიდგომებისა და პარამეტრების შესახებ

პარლამენტის ბიბლიოთეკა

(დასასრული)

მეორე, როგორც მეცამეტე ხუთწლედის წინამორბედი, გეგმა მოწოდებულია შეუქმნას საფუძველი ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას უახლოეს პერსპექტივაში.

ასეთი გახლავთ 1990 წლის სახელმწიფო გეგმის, აგრეთვე რესპუბლიკების, ოლქებისა და საწარმოების გეგმების მთავარი, მასშტაბური მიზნობრივი ფუნქციები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მიზნების ერთდროული რეალიზაცია საგანგებო გადაწყვეტილებებს მოითხოვს.

სწორედ 1990 წელს გაჩაღდება მაქსიმალურად მუშაობა ეკონომიკის ფინანსური გაჯანსაღების სამომხმარებლო ბაზრის — ეკონომიკის გაჯანსაღების მთავარი საფუძვლის სტაბილიზაციისათვის. დასახულია, სახალხო მოხმარების საქონლის საერთო წარმოება გადიდდეს 1989 წლის გეგმასთან შედარებით თითქმის 12 პროცენტით, მაშინ როდესაც მთლიანი ეროვნული პროდუქტი სულ მხოლოდ 2 პროცენტით იზრდება. ეს მოწმობს, რომ მთელი გეგმა თავისი დავალებებითა და პროპორციებითურთ მიზნად ისახავს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების და, ხაზს ვუსვამ, უწინარესად, საკუთარი, სამამულო წარმოების მაქსიმიზაციას. თუმცა ჩვენ ასევე ვცდილობთ საგრძნობი იმპორტული საყრდენები შევაშველოთ ამ პრობლემას.

საცალო საქონელბრუნვამ უნდა მიაღწიოს 435 მილიარდ მანეთს, ანუ გაიზარდოს წლევანდელ გეგმასთან შედარებით, მინიმუმ, 40 მილიარდი მანეთით. წინა ოთხი წლის მანძილზე კი (1986-1989 წ.წ.) ჩვენში საქონელბრუნვა იზრდებოდა საშუალოდ დაახლოებით 15 მილიარდი მანეთით. ამრიგად, 1990 წელს ჩვენთვის უაღრესად საჭიროა, და საამისო შესაძლებლობაც არსებობს, განვახორციელოთ ნამდვილი ნახტომი ამ საქმეში.

1990 წელს დასახულია, — ეს კი ითვალისწინებს მრავალი დეპუტატის მოთხოვნებს და მნიშვნელოვნად აჯანსაღებს ჩვენს ფინანსებს, — საწარმოო სფეროში სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა შემცირება და მშენებლობის ფრონტის მკვეთრი დავიწროება. ეს პროცესი დაიწყო უკვე 1989 წელს, როდესაც კაპიტალური დაბანდებანი საწარმოო სფეროში, თუმც უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შემცირდა. 1990 წელს ამ პროცესს საგანგებო ხასიათი ენიჭება. სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი საწარმოო სფეროში წლევანდელთან შედარებით საშუალოდ შემცირდება 30 პროცენტით. ამასთან ცალკეული კომპლექსების მიხედვით საწარმოო კაპიტალურ დაბანდებათა შემცირება ბიუჯეტის ხარჯზე გაცილებით მეტია. მაგალითად, სათბობ-ენერგეტიკული და მეტალურგიული კომპლექსების მიხედვით ეს შემცირება შეადგენს დაახლოებით 40 პროცენტს. ამრიგად, 1989-1990 წლები საბჭოთა ეკონომიკის მშვიდობიანი განვითარების მთელი პერიოდის მანძილზე იქნება პირველი წლები, როდესაც აბსოლუტურად კლებულობს საწარმოო ინვესტიციების მოცულობა.

1990 წლის გეგმის საგანგებო ღონისძიება გახდება აგრეთვე მთელი რიგი საქონლისა და ნაწარმის იმპორტის მკვეთრი შემცირება, ძირითადად, მძიმე მრეწველობისათვის განკუთვნილი ნაწარმისა. რა თქმა უნდა, ეს ისე კეთდება, რომ არ შევეხოთ მოხმარების საგნების წარმოებასა და რესურსებს, მაგრამ ამის შედეგად საგრძნობლად შემცირდება მრეწველობის „ა" ჯგუფის მთელ რიგ სახეობათა პროდუქციის გამოშვება. მაგალითად, შავი ლითონების ნაგლინის, მათ შორის, ცივგლინული ფურცლის იმპორტის შემცირება გვაიძულებს შევთავაზოთ წარმოებას სატვირთო ავტომობილებისა და ზოგიერთი სხვა ტექნიკის გამოშვების აბსოლუტური შემცირება. ეს რთული საკითხია, და ჩვენ, ამხანაგო დეპუტატებო, კიდევ მოგვიწევს მისი დეტალური განხილვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და კომიტეტებში, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ჩვენ საგულდაგულოდ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილებანი იმ პროდუქციის წარმოებისათვის განკუთვნილ მშენებლობათა გამო, ურომლისოდაც არც ხალხს და არც სახალხო მეურნეობას არაფერი დაუშავდებათ 1990 და მომდევნო წლებში.

1990 წელი გახდება თავდაცვითის დარგებში საკონვერსიო პროცესების მკვეთრი დაჩქარების წელი. ჩვენ, რაც შეიძლება მალე უნდა გავიაროთ თავდაცვითი დარგებში სამოქალაქო სექტორის მასშტაბური ჩამოყალიბების პერიოდი და 1990 წელი ამ გზაზე გადამწყვეტი უნდა გახდეს.

და კიდევ, 1990 წლის გეგმის პროექტის ერთი თავისებურების შესახებ. მისი შემუშავებისას ჩვენ იმით ვხელმძღვანელობდით, რომ გეგმის რეალიზაცია განხორციელდება ეკონომიკური რეფორმის გარდამავალი ხასიათისა და საზოგადოებრივი წარმოების პირვანდელ რგოლში მისი შემდგომი გაღრმავება-განვითარების პირობებში. იწყება გადასვლა საარენდო ურთიერთობაზე, მეურნეობრიობის ჯანსაღ კოოპერატიულ ფორმებზე. შრომითი კოლექტივების ინიციატივით მიმდინარეობს ასოციაციების, კონცერნების, კონსორციუმების შექმნის პროცესი. და ამ პროცესს ვერ შეზღუდავ მკაცრი დროებითი ფარგლებით. წარმოებს დიდი მუშაობა, რათა დადგინდეს საწარმოთა კუთვნილება ამა თუ იმ დარგის თუ მოკავშირე რესპუბლიკისადმი მათი რეორგანიზაციის შედეგად და რეგიონული თვითმმართველობის დაწყებასთან დაკავშირებით. ხორციელდება მთელი დარგების გადაცემა მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციაში.

როდესაც 1990 წლის გეგმის პროექტს ვამუშავებდით, ჩვენ ვერ დაველოდებოდით მთელი ამ რთული პროცესის დამთავრებას. გეგმა შემუშავებულია უკვე ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურაში, მაგრამ ეს ორგანიზაციული სტრუქტურა ობიექტურად შეიცვლება და, უდავოა, რომ სახელმწიფო გეგმა კი არ უნდა აბრკოლებდეს ამ პროცესებს, არამედ, პირიქით, აქტიურად უწყობდეს მათ ხელს.

ამასთანავე, აღნიშნული პროცესები მთელ რიგ შემთხვევებში წინ უსწრებენ ახალი ეკონომიკური ინსტრუმენტარიუმის ფორმირებას. არ არის დახვეწილი და პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს ახალი საგადასახადო სისტემა, წარმოების საშუალებათა ბაზარი, ეკონომიკის განვითარების საფასო და საკრედიტო რეგულირების მექანიზმი. და აქ მთავარია არა მარტო და არა იმდენად ცენტრის თუ რესპუბლიკების რაღაც ხელმძღვანელი ორგანოების უნიათობა, რამდენადაც ის ობიექტური სიძნელენი, რომლებსაც ჩვენ ვაწყდებით სოციალისტური ბაზრის ფორმირების პროცესში. ამ სიძნელეებს აღრმავებს მატერიალურ-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მრავალი სახეობის დეფიციტი და მდარე ხარისხი, მფლანგველობა და უყაირათობა, რომლებიც ჯერაც არ აღმოფხვრილა ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში, ინფლაციის პროცესების გაძლიერება. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ბაზრის ფორმირების პროცესი შეიძლება ეტაპ-ეტაპ მიმდინარეობდეს, და გამორიცხულია მისი შექმნა ერთი ხელის დაკვრით, ამდენად, ახლანდელ ეტაპზე ჩვენ ვერ გავუშვებთ სახელმწიფო ცენტრალიზებული მმართველობის ხელიდან სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ყველა სადავესა და ბერკეტს. ამავე დროს მინდა ხაზგასმით აღვნიშნო მთავარი — 1990 წლის გეგმის პროექტის შემუშავებისას, მისი საგანგებო ხასიათის მიუხედავად, ზუსტად არის დაცული სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონითა და მისი იმ შესწორებებით განსაზღვრული საწარმოთა საქმიანობის ყველა პირობა, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შემოიტანა და დღეს მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ.

ასეთი გახლავთ ზოგადად 1990 წლის გეგმის პროექტის უმნიშვნელოვანესი თავისებურებანი. ახლა, ნება მიბოძეთ, უფრო დაწვრილებით შევეხო ამ გეგმისა და მომავალი წლის ზოგიერთ ყველაზე მწვავე პრობლემას.

ეს არის, უწინარეს ყოვლისა, საშინაო ბაზრის შეწონასწორების პრობლემა. მის გადაჭრას ერთდროულად უნდა მივუდგეთ ორი მხრიდან: ჯერ ერთი, მოსახლეობის ცალკეული ფენების შემოსავლის ეკონომიკურად გაუმართლებელი ზრდის სახელმწიფო რეგულირების გზით და, მეორე, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ფასიანი მომსახურების ინტენსიური გადიდებისა და სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალური ბაზის განვითარების დაჩქარების გზით.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ მოსახლეობის ფულადი შემოსავლის უპირატესი ზრდის ტენდენცია, რომელიც გასულ წელს დაიწყო, მისი სამართლიანი რეგულირებისათვის მიღებული ზომების მიუხედავად, მიმდინარე წელსაც გაგრძელდება. მაგალითად, 1989 წლის პირველ ნახევარში მთლიანი ეროვნული პროდუქტის 3,5 პროცენტით ზრდისა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების 2,8 პროცენტით გადიდების პირობებში შრომის ანაზღაურების ფონდი სახალხო მეურნეობაში გაიზარდა 9,5 პროცენტით.

შარშან, როგორც ცნობილია, მოსახლეობის ფულადი შემოსავალი გადიდდა 41 მილიარდი მანეთით. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში — 28 მილიარდი მანეთით. ამან არ შეიძლება არ დაგვაფიქროს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღესდღეობით სამამულო საწარმოო პოტენციალს არ გააჩნია ობიექტური უნარი ადეკვატურად უპასუხოს ამ ზრდას სურსათ-სანოვაგის, საქონლისა და მომსახურების მოცულობის შესაბამისი მატებით.

ასეთ შეუსაბამობათა პირობებში ვერავითარი ეკონომიკა ვერ განვითარდება ნორმალურად. ამის შედეგები აშკარაა: სიძნელეთა ზრდა სამომხმარებლო ბაზარზე, ინფლაციის პროცესების გაძლიერება, ფულის მიმოქცევის შემდგომი გამწვავება, და ამ პრობლემებს არ გადაგვიწყვეტს არავითარი „უცხოელი ძია".

აქედან გამომდინარე, ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გადავიყვანოთ მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდა ნორმალურ ეკონომიკურ კალაპოტში, ამასთან მაქსიმალურად გავზარდოთ საკუთარი საქონლისა და მომსახურების წარმოება. ჩვენ ვგმობთ ყოველგვარ ხელოვნურ შეზღუდვებს, რომლებიც ხელს უშლიან მშრომელებს პატიოსანი გარჯით გამოიმუშაონ ფული, მაგრამ ჩვენ ასევე საჭიროდ ვცნობთ, გადაჭრით გადაიკეტოს გამოუმუშავებელი სახსრების მიღებისა და მოსახლეობის ვიწრო ფენებში საქონლის გადატუმბვის არხები.

დღეს ამ მიმართულებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ დიდი ნაბიჯი გადადგა ჩვენი ეკონომიკის სისტემაში რეგულირების საგადასახადო მეთოდების დანერგვის გზაზე იმით, რომ მიიღო დადგენილება შემოღებულ იქნეს მიმდინარე წლის ოქტომბრიდან საწარმოთა იმ სახსრების საგადასახადო რეგულირება, რომლებიც ხმარდება შრომის ანაზღაურებას, გაუმართლებელი ნორმატიული თანაფარდობის ნაცვლად, ეს ნაბიჯი, საერთო აზრით, არსებითს გავლენას მოახდენს ქვეყანაში ფულის მიმოქცევის სტაბილიზაციაზე.

ჩვენი საგეგმო შეფასებების მიხედვით, მოსახლეობის მიმდინარე ფულადი შემოსავლისა და გასავლის შეწონასწორებისათვის, როგორც უკვე ითქვა, საკმარისია მომავალ წელს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვის დასახული მოცულობა 435 მილიარდი მანეთის ოდენობით. მაგრამ ამ სიდიდის მიღწევა უაღრესად ძნელი ამოცანა იქნება მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, სამინისტროების, ყველა საწარმოს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის.

მინდა, ერთხელ კიდევ გავუსვა ხაზი, რომ საშინაო ბაზრის სტაბილიზაციის საფუძველია სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების მოცულობის, მთელი მაკომპლექტებელი სპექტრის გადიდება. ეს ძნელი საკითხია. როგორც უკვე გათვალისწინებულია სახალხო მოხმარების საქონლის, განსაკუთრებით არასასურსათო საქონლის წარმოების უაღრესად დიდი ზრდა, და საჭიროა მთელი ხალხი ფეხზე დავაყენოთ ამ ამოცანის გადასაწყვეტად. იმისათვის, რომ გავზარდოთ მისი წარმოება თითქმის 18 პროცენტით, მათ შორის, ეგრეთ წოდებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლისა — 24 პროცენტით, საჭიროა დიდი ძალისხმევა, ორგანიზებულობა და დისციპლინა. ჩვენ წინათ და მთლიანად ხუთწლედის მანძილზე ასეთი ზრდა არ გვქონია. დავასახელებ ზოგიერთ ციფრს ცალკეულ სახეობათა საქონლისა და ნაწარმის დახასიათებისათვის. 1990 წელს 1989 წლის გეგმასთან შედარებით ტელევიზორების წარმოება უნდა გადიდდეს 835 ათასი ცალით ხუთწლედის სამი წლის 257 ათასთან შედარებით, ველოსიპედებისა — 380 ათასით 275 ათასის ნაცვლად, სარეცხი მანქანებისა — 2,6 მილიონი ცალით 1 მილიონთან შედარებით, ელექტრომტვერსასრუტებისა — 2,2 მილიონი ცალით 730 ათასის ნაცვლად. ავეჯის წარმოება დასახულია გადიდდეს 1 მილიარდ 250 მილიონი მანეთით, ვიდეომაგნიტოფონებისა — 3,7-ჯერ, მოტობლოკების და მოტოკულტივატორებისა — 2,7-ჯერ, მინიტრაქტორებისა — 3-ჯერ. ეს ძნელი, მაგრამ რეალური ამოცანაა, და ქვეყანაში გვაქვს საწარმოო ბაზა, რათა უზრუნველვყოთ საქონლის ასეთი ზრდა, თუ აქტიურად ჩავაბამთ ამ მუშაობაში თავდაცვითი კომპლექსის მეტ წილ საწარმოებს.

ამ მუშაობაში მთავარია უზრუნველვყოთ საქონელბრუნვის ნატურალური, და არა ფასობრივი შევსება. მიგვაჩნია, რომ ამ სამუშაოს უნდა მიენიჭოს საყოველთაო-სახალხო ხასიათი და უპირველესი სახელმწიფო პრიორიტეტი.

მეორე ცენტრალური პრობლემა, რომელიც, რა თქმა უნდა, პირველს უკავშირდება, — ეს არის ეკონომიკის ფინანსური გაჯანსაღება. დასახულია ამოცანა — ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა დაახლოებით ორჯერ შევამციროთ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, და ამოსავალ წერტილად ავიღოთ ზემოაღნიშნული დეფიციტი 120 მილიარდის ოდენობით, რომელიც მიმდინარე წელს წარმოიშვა.

რა ძირითადი მიმართულებებით წარმოებს აქ საგეგმო-საფინანსო მუშაობა? გამოვიყენებთ ყველა მიმართულებას: ორიენტაციას თვითღირებულების საგრძნობ შემცირებაზე და მოგების დიდ ზრდას საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების არსებითს შემცირებას და, ამის შედეგად, ბრუნვის გადასახადის ზრდას, სახელმწიფო ცენტრალიზებული საწარმოო კაპიტალური დაბანდების მნიშვნელოვან შემცირებას, თავდაცვის, მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯების რეალურ შეკვეცას, ბრძოლას ზარალიანობასა და მფლანგველობასთან, მთლიანად სახალხო მეურნეობაში ეკონომიის რეჟიმის გამკაცრებას და მთელ რიგ სხვა ღონისძიებებს. სწორედ ამ ღონისძიებებმა უნდა მოგვცეს შესაძლებლობა 1990 წელს უკანასკნელი ხუთწლედების მანძილზე პირველად მივაღწიოთ ჩვენთვის სრულიად ახალ პროპორციას, როდესაც უზრუნველვყოფთ სახელმწიფოს შემოსავლის უპირატეს მატებას მის გასავალთან შედარებით.

მაგრამ სახელმწიფოს ფინანსებში დეფიციტის მთლიანად აღმოფხვრას 1990 წელს ჩვენ ვერ მოვახერხებთ და ეს დაუფარავად უნდა ითქვას. ანდა როგორ მოხერხდებოდა ეს დროის ისეთ მონაკვეთში, როგორიც ერთი წელიწადია, როგორ გადავწყვეტდით მთლიანად ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას, რომელიც წლების მანძილზე იზრდებოდა.

ამიტომ მომავალი ორი-სამი წლის განმავლობაში გარდაუვალად მოგვიხდება მივმართოთ რესურსების დასესხებას საკრედიტო სისტემაში. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბანკებთან სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ურთიერთობის ხასიათი პრინციპულად უნდა შეიცვალოს.

რა არის ამ ცვლილებათა არსი? ჯერ ერთი, მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს მოთხოვნილება სახსრების დასესხების ოდენობაზე, მეორე, და ეს ყველაზე მთავარია, რესურსების პირდაპირი ამოღების ნაცვლად უნდა გადავიდეთ სახაზინო ვალდებულებების (ფასიანი ქაღალდების) გამოშვებაზე, რომლებიც მათ მფლობელებს სტაბილურ შემოსავალს მოუტანენ. დაე, ბანკებმა გადაწყვიტონ, რა რაოდენობის ფასიანი ქაღალდები მიჰყიდონ საწარმოებს და რა რაოდენობის საკუთარი რესურსები მოახმარონ მათს ყიდვას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საფინანსო და საკრედიტო სისტემის ურთიერთობა ამიერიდან უნდა ემყარებოდეს არა დიქტატის პრინციპებს, არამედ სამეურნეო ანგარიშის საფუძველს.

უნდა ვეძებოთ აგრეთვე მოსახლეობის თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციის უფრო მოქნილი ეკონომიკური მეთოდები. ვფიქრობთ, მომწიფდა პრობლემა გადაისინჯოს ანაბრების პროცენტული განაკვეთები, რათა მოსახლეობას მიეცეს სტიმული თავისი დანაზოგის ხანგრძლივი შენახვისათვის. აქ შეიძლება გამოვიყენოთ სახსრების მობილიზაციის მრავალი სხვადასხვა თანამედროვე ფორმა. კონკრეტული წინადადებანი ამ საკითხზე მუშავდება.

ვეხები რა ეკონომიკის განვითარებაში ბანკების როლის გაძლიერებას, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ აქ დაგროვდა უამრავი გადაუდებელი პრობლემა, რომელთა გადაჭრამ საბოლოო ანგარიშით სსრ კავშირის სახბანკი ნამდვილად უნდა გადააქციოს ორგანოდ, რომელიც მართავს ქვეყნის მთელ ერთობლივ ფულად ბრუნვას მსოფლიო პრაქტიკისათვის ცნობილი ფულის მიმოქცევის რეგულირების მექანიზმების გამოყენებით. მაგრამ ეს ცალკე საკითხია და მას ამჟამად იხილავს მთავრობა.

ჩვენ ყურადღებით განვიხილეთ სხვადასხვა წინადადება მოსახლეობის თავისუფალი სახსრების მოზიდვის საობლიგაციო მეთოდების შესახებ. მიზანშეწონილია, ჩვენი აზრით, გავააქტიუროთ ეს პროცესი საკმაოდ დიდი პროცენტებით სესხის გამოშვების გზით. ასეთი სესხის ობლიგაციების მოთავსება რა თქმა უნდა, ნებაყოფლობითია.

რაც შეეხება სხვადასხვა სესხის გამოშვებას მომავალში სხვადასხვა საქონლის შეძენისა და მომსახურების მიღებისათვის, ეს უნდა იყოს რესპუბლიკებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, საწარმოების პრეროგატივა. ასეთი სესხები შეიძლება გამოვუშვათ მათ განკარგულებაში არსებული სასაქონლო რესურსების გათვალისწინებით.

1990 წლის გეგმის პროექტის შემდეგი წლის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებსაც მინდა სპეციალურად შევეხო, ეს არის დასახული სოციალური პროგრამები. სახელმწიფო გეგმის სოციალური ხელახალი ორიენტაცია მთავარი მოთხოვნაა, რომელიც გამოითქვა სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, უმაღლეს საბჭოშიც და ეს მართლაც საგრძნობი ღონისძიება უნდა იყოს ჩვენი ეკონომიკის სოციალური ხელახალი ორიენტაციისათვის საერთო მუშაობაში. ამ პროცესს ჩვენ უკვე თვალს ვადევნებთ მაკროეკონომიკური პროპორციების დონეზეც, სადაც ახლა, როგორც არასდროს, მკვეთრად იცვლება ეროვნული შემოსავლის სტრუქტურა მოსახლეობის მოხმარებისა და არასაწარმოო სფეროში მშენებლობისათვის რესურსების სასარგებლოდ. ეს პროცესი საკმაოდ საგრძნობლად ვლინდება უკვე 1989 წელს. ამის შედეგად საწარმოო დაგროვების ფონდის წილი ორ წელიწადში (1989-1990 წლები) უნდა შემცირდეს 5 პროცენტიანი პუნქტით. მაკროეკონომიკური დონის მეტად ინერციული პროცესების ფონზე ეს აქამდე არნახული სტრუქტურული ძვრა გახლავთ. მაგალითად, ბოლო 3-4 ხუთწლედების განმავლობაში სხვა საკმარისად დიდი სტრუქტურული ძვრების მიუხედავად ეს წილი ხუთწლეულის განმავლობაში მხოლოდ 2-3 პროცენტიანი პუნქტით იცვლებოდა.

ამ უმნიშვნელოვანესი პროპორციის ასეთ შეცვლას მოითხოვდა ბევრი სახალხო დეპუტატი, და სახალხო მეურნეობა დღეს მზად არის ამისათვის. მაგრამ არ შეიძლება არ გვაღელვებდეს უახლოესი მომავლისათვის მარაგნაკეთის პრობლემა. ეს რთული საკითხია, და მას აწონილ-დაწონილად უნდა მივუდგეთ. ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანწილად ფინანსური გაჯანსაღების მოთხოვნებით ნაკარნახევი საწარმოო დაგროვების წილის ასეთი მკვეთრი შემცირება ჩვენ გულდასმით უნდა შევუფარდოთ სახალხო მეურნეობის გაფართოებული კვლავწარმოების ნორმალური პროცესის მოთხოვნებს, სადაც პირველ ადგილზე დგას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ეს საკითხი დეპუტატებისა და უმაღლესი საბჭოს კომისიების სპეციალური გაღრმავებული განხილვის საგანი უნდა გახდეს, რადგან მდგომარეობა უნდა გამოვასწოროთ დღეს, წინსვლა კი საჭიროა დღესაც, და ხვალაც.

ეკონომიკის სოციალური მიმართულების გაძლიერების გზით ასეთი ძირეული სტრუქტურული ძვრის შედეგად მოხმარებისა და არასაწარმოო მშენებლობისათვის რესურსები 1986-1990 წლებში უნდა გაიზარდოს 22 პროცენტით, ანუ 100 მილიარდი მანეთით, სახელდობრ 1981-1985 წლების 16,8 პროცენტისა და 65 მილიარდი მანეთის ნაცვლად.

ეკონომიკის სოციალური მიმართულების გაძლიერება გამოიხატება მრეწველობის „ბ" ჯგუფის შემდგომი პრიორიტეტული განვითარებით. 1990 წელს „ბ" ჯგუფის მატების ტემპი 11-ჯერ გაუსწრებს „ა" ჯგუფის მატების ტემპს, და ყველაზე მთავარი ის არის, რომ ეს გასწრება დადასტურდეს ნატურალური საზომებით, და არა ფასების მომატების გზით ღირებულებითი საზომებით.

სულ უფრო მეტი ცვლილებები ხდება კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურაში. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის არასაწარმოო სფეროს წილი 1990 წელს თითქმის 28 პროცენტამდე იზრდება 1988 წლის 23,5 პროცენტისა და 1989 წლის გეგმით გათვალისწინებული 25,1 პროცენტის ნაცვლად. მაკროეკონომიკური პროპორციების ასეთი ცვლილება ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის გამიზნული ფართო წრის სახელმწიფო ცენტრალიზებულ ღონისძიებათა განხორციელების საშუალებას იძლევა.

უნდა მოგახსენოთ, ამხანაგო დეპუტატებო, რომ 1990 წლისათვის დასახული გეგმის პროექტი ითვალისწინებს მთავრობის ყველა იმ კონკრეტული ვალდებულების მთლიანად შესრულებას, რომლებიც მან დაჰპირდა უმაღლეს საბჭოს. მაგალითად, გეგმის პროექტში გათვალისწინებულია პენსიების მომატების ყველა ღონისძიება, რომლებიც მიიღო სახალხო დეპუტატთა პირველმა ყრილობამ. მათ შორის არის მოხუცებულობის გამო პენსიების, ინვალიდების, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ქვრივებისა და მშობლებისათვის პენსიების მინიმალური ოდენობის გადიდება, განსხვავების ლიკვიდაცია კოლმეურნეების, მუშა-მოსამსახურეებისა და მთელი რიგი სხვა პირების საპენსიო უზრუნველყოფაში. ცნობილია, რომ დანახარჯები ამ ღონისძიებების განსახორციელებლად, წელიწადზე გადაანგარიშებით 6 მილიარდ მანეთს აღემატება, მაგრამ, როგორც იცით, მათი განხორციელება დაიწყება უკვე მიმდინარე წლის შემოდგომიდან, რისთვისაც დაიხარჯება დაახლოებით 1,6 მილიარდი მანეთი.

გათვალისწინებულია აგრეთვე ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებანი, რომლებიც გადმოდის მიმდინარე 1989 წლიდან. მათ შორის ისეთები, როგორიც არის ის, რომ მშობიარობამდე შვებულება მომუშავე ქალებს გაუდიდდეთ 56-დან 70 კალენდარულ დღემდე, აგრეთვე მოემატოთ ფასიანი შვებულება ბავშვის მოვლისათვის, სანამ მიაღწევდეს წლინახევრის ასაკს.

გაეზარდოთ დახმარება 12 წლის ასაკამდე ბავშვებს, რომლებისთვისაც დახმარება ეძლევათ ხელმოკლე ოჯახებს, გაიზარდოს კვების ხარჯების ნორმები სკოლამდელ დაწესებულებებში, შემოღებულ იქნეს რაიონული კოეფიციენტები და მრავალი სხვა, მათ შორის ბოლო დროს მიღებულებიც.

მიმდინარე ხუთწლედის სოციალური პროგრამით გათვალისწინებული ცენტრალიზებული ღონისძიებების განხორციელებისათვის, დირექტიული ორგანოებისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დამატებითი გადაწყვეტილებებით, დასახულია, 1990 წელს ამ საქმეს მოხმარდეს 10 მილიარდი მანეთი საბიუჯეტო სახსრებით, რაც 2,5-ჯერ მეტია, ვიდრე ასახული იყო 1988 და 1989 წლის გეგმებში.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, ამხანაგო დეპუტატებო, რომ ეს მხოლოდ სახელმწიფო ცენტრალიზებული ღონისძიებანია. მეურნეობრიობის ახალ სისტემაში მნიშვნელოვანი წრის სოციალური ღონისძიებანი ხორციელდება საწარმოთა სახსრების ხარჯზე თვით შრომითი კოლექტივების მიერ გამომუშავებული ფონდების ფარგლებში. კერძოდ, ისევე როგორც წინათ, ასე იწარმოებს სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშა-მოსამსახურეთა განაკვეთებისა და სარგოების გადიდებისათვის მუშაობის დამთავრება.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა ითქვას არასაწარმოო მშენებლობისა და, უწინარეს ყოვლისა, საცხოვრებელი სახლების შესახებ. უკვე 1986-1988 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 383,6 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლი. საცხოვრებლის საშუალო წლიური ამოქმედება 17,5 მილიონი კვადრატულით მეტია, ვიდრე მეთერთმეტე ხუთწლედის განმავლობაში სახლების საშუალო-წლიური საექსპლოატაციო გადაცემა. საბინაო მშენებლობის ასეთ მასშტაბს პირველად მივაღწიეთ. 1990 წლისათვის დასახულია საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა აღემატებოდეს საშუალო წლიურს, რომელიც მიღწეულია მიმდინარე ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში.

ხუთწლეულის მანძილზე საცხოვრებელი სახლების საერთო ამოქმედებამ მთლიანად უნდა შეადგინოს სულ ცოტა 650 მილიონი კვადრატული მეტრი, რაც 100 მილიონი კვადრატული მეტრით აღემატება გასული ხუთწლედის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი სახლების რაოდენობას. საბინაო მშენებლობის დასახული მასშტაბი საშუალებას მოგვცემს თითოეული მცხოვრების ბინების საერთო ფართობი საშუალოდ უზრუნველყოფა 1985 წლის 14,6 კვადრატული მეტრიდან 1990 წლის დამლევისათვის 16,1 კვადრატულ მეტრამდე გავზარდოთ. გათვალისწინებულია სოციალურ-კულტურული სფეროს სხვა ობიექტების დიდი რაოდენობით ამოქმედებაც.

ასეთია 1990 წლის სოციალური პროგრამა, რომელსაც განიხილავთ და შეაფასებთ ჩვენს სახელმწიფოში არსებულ რესურსებთან დაკავშირებით. იგი ვრცელი და მრავალმხრივია. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, ამხანაგო დეპუტატებო, რომ იგი ჩვენი ეკონომიკის შესაძლებლობათა ზღვარზეა. ამიტომ ჩვენი საერთო ამოცანა იქნება ობიექტურად წარვმართოთ მთავრობისადმი მოთხოვნების ნაკადი იმგვარად, რომ ყველა ჩვენი გადაწყვეტილება და დაპირება შესრულდეს.

და ბოლოს, მინდა შევეხო კიდევ ერთ პრობლემას, რომელიც უნდა გადავწყვიტოთ ერთად, — ეს არის საექსპორტო-საიმპორტო გეგმა.

ჩვენ, ისე როგორც დეპუტატებს უაღრესად გვაწუხებს საბჭოთა საექსპორტო ნედლეულის მიმართულება და დიდი რაოდენობის სურსათის, მარცვლეულის, ლითონის და ფართო გამის ქიმიური საქონლის შესყიდვის აუცილებლობა. ეს აუცილებლობა ნაკარნახევია ეკონომიკის ამ დარგების დღევანდელი მდგომარეობით, სიძნელეებითა და პრობლემებით. ამ იმპორტის ანაზღაურებისათვის იძულებული ვართ გავყიდოთ ის, რაც ქვეყანას ახლა აქვს. ამ პრობლემებს უცბად ვერ გადავჭრით, ამას წლები სჭირდება. ამასთან დაკავშირებით შემუშავებულია სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის გრძელვადიანი სტრატეგია და ქვეყნის საექსპორტო ბაზის განვითარების პროგრამა, რომლებშიც დასახულია შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზები და მეთოდები.

1990 წლის გეგმის პროექტის შემუშავება რთულდება საექსპორტო-საიმპორტო გეგმის შეუწონასწორებლობით, განსაკუთრებით თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით. სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ შევაჩეროთ საგარეო ვალის ზრდა. ეს არის ეკონომიკაში მრავალი სიძნელისა და ნაკლოვანების შედეგი. უნდა ითქვას, რომ როცა ვამუშავებთ საერთოდ 1990 წლის გეგმის სხვადასხვა ვარიანტს, ჩვენ ვხელმძღვანელობდით მნიშვნელოვანწილად საექსპორტო-საიმპორტო გეგმის სხვადასხვა ვარიანტით. მინდა მოგახსენოთ, ამხანაგებო, რომ სწორედ აქ არის ახლა ყველაზე მეტი გადასაჭრელი პრობლემა.

ერთ-ერთი მათგანია სახალხო მოხმარების საქონლის შესყიდვის გადიდება. ჩვენ სულ შევისყიდით 7 მილიარდ მანეთისაზე მეტ სახალხო მოხმარების საქონელს. მათ ძირითად წილს ვიღებთ სოციალისტური ქვეყნებიდან. წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა შესყიდვა კაპიტალისტური ქვეყნებიდან, მაგრამ სოციალისტური ქვეყნებიდან საქონლის იმპორტის გადიდების შესაძლებლობანი შეზღუდულია. ამიტომ უნდა გადავწყვიტოთ ამოცანა, რათა 1990 წელს ბაზარს მივცეთ საცალო ფასებში 10 მილიარდი მანეთის თავისუფალი კონვერტირებული ვალუტით შესყიდული საქონელი. ამ შემთხვევაში სულ ბაზარი მიიღებს საცალო ფასებში თითქმის 32 მილიარდი მანეთის მზა იმპორტულ საქონელს.

გარდა ამისა, გათვალისწინებულია შევისყიდოთ 2 მილიარდი მანეთის მედიკამენტები და 1,6 მილიარდი მანეთის ნედლეული საქონელი და მასალები მსუბუქი მრეწველობისათვის, რომლებიც მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფენ სამამულო მრეწველობის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებას.

უნდა ითქვას, რომ როცა საერთოდ 1990 წლის გეგმის სხვადასხვა ვარიანტს ვამუშავებდით, მნიშვნელოვანწილად სწორედ ვხელმძღვანელობდით საექსპორტო-საიმპორტო გეგმის სხვადასხვა ვარიანტით. უნდა მოგახსენოთ, ამხანაგებო, რომ სწორედ აქ არის ყველაზე მეტი გადასაჭრელი პრობლემა, სწორედ ამის გამო, ჩვენ ჯერ კიდევ არ წარგვიდგენია გეგმა მთავრობისათვის, თუმცა ვადები უკვე ამოიწურა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესიაზე სექტემბერში თქვენ, ამხანაგო დეპუტატებო, დაწვრილებით მოგახსენებთ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც წარმოგიდგენთ, რათა მიიღოთ ისინი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შემადგენლობაში.

ძნელი სამეურნეო წელი გვექნება, რომელსაც, მე ვიტყოდი საბრძოლო მზადყოფნით უნდა შევხვდეთ. იმაზე, თუ როგორ განვითარდება ქვეყნის ეკონომიკა, გარკვეულწილად დამოკიდებული იქნება გარდაქმნის ბედ-იღბალიც. ამ პირობებში სახალხო მეურნეობის მართვის დემოკრატიზაციასთან უნდა სდევდეს სამეურნეო სისტემის ყველა დონის მუშაკთა პასუხისმგებლობის ზრდა, შრომის, საგეგმო, ტექნოლოგიური დისციპლინის, მიწოდების დისციპლინის, ერთი სიტყვით, დისციპლინის განმტკიცება ამ სიტყვის ფართო გაგებით. საჭიროა, რომ სახალხო დეპუტატების საბჭოებისადმი, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, შრომითი კოლექტივებისადმი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის მოწოდება „ყველგან გავაჩაღოთ ბრძოლა დანაკარგებისა და უყაირათობის წინააღმდეგ, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის საერთო-ეროვნული კამპანია", მთლიანად განხორციელდეს. ამოცანა ის არის, რომ ის პოლიტიკური აქტიურობა, რომელმაც მოიცვა ახლა მოსახლეობის ყველა ფენა, ბრიგადიდან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭომდე, ბოლოს და ბოლოს მიზანმიმართულად იყოს მიმართული ეკონომიკის გაჯანსაღებისაკენ.

ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმით, რომ საგანგებო ეკონომიკურმა სიტუაციამ არ უნდა შეაფერხოს ეკონომიკური რეფორმა. უფრო მეტად, ხატოვნად რომ გამოვთქვათ, ყველაზე „საგანგებო ღონისძიება" ეს არის რეფორმის გაღრმავება, მისთვის რადიკალური ხასიათის მინიჭება. სწორედ ამ მიმართულებით შეიძლება მოველოდეთ მაქსიმალურ ეფექტს. და ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეკონომიკური რეფორმისათვის მოძრაობა, ცენტრიდან მოცემული ბიძგი, მეტად მძლავრად მოდის ქვემოდან. ნამდვილი სამეურნეო ანგარიშს მოითხოვენ მუშებიც, მოკავშირე რესპუბლიკები და ოლქები. ცენტრის ამოცანაა, ჯერ ერთი, ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ამ მოძრაობას და მეორე, დაემყაროს მას.

რეფორმის სტრატეგიული ამოცანებიდან დღეს, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი.

ეს არის, **უწინარეს ყოვლისა სოციალური საკუთრების ურთიერთობის რადიკალური განახლება,** მისი ფორმების მრავალფეროვნებისა და შეჯიბრებითობის უზრუნველყოფა.

დღეს საწარმოთა დონეზე ეს უშუალოდ არის დაკავშირებული სამეურნეო ანგარიშის პროგრესული ფორმების განვითარებასთან. გარკვეული წინსვლა აქ გვაქვს. მაგალითად, თუ 1988 წელს სამეურნეო ანგარიშის მეორე ფორმით მუშაობდა დაახლოებით ათასი სამრეწველო საწარმო, 1989 წლის 1 ივლისისათვის ასეთი საწარმოების რიცხვმა შეადგინა 2748. 1988 წლის 1 ოქტომბრისათვის საარენდო იჯარით მუშაობდა 60 სამრეწველო საწარმო, 1989 წლის 1 აპრილისათვის — უკვე 638, 1989 წლის 1 ივლისისათვის — 903, აგრეთვე სხვა სახეობის საქმიანობის 1100-ზე მეტი საწარმო. ეს პროცესი გაიზრდება, რასაც ხელს შეუწყობს არენდის შესახებ კანონის მიღება. ეს განსაკუთრებით საჭიროა სოფლის მეურნეობაში საარენდო ურთიერთობის გაფართოებისათვის.

საარენდო და კოოპერაციული მოძრაობის განვითარების კვალობაზე სახელმწიფო საკუთრების მასშტაბი შემცირდება აბსოლუტურადაც და შედარებითაც, რადგან, ვთქვათ, გრძელვადიანი არენდით საწარმოების გადაცემისა და შრომითი კოლექტივების მიერ მათი გამოსყიდვის დროს სახელმწიფო საკუთრება გარდაიქმნება საკუთრების კოოპერაციულ ან ერთობლივ ფორმად.

სახელმწიფო საკუთრების განახლების მეორე მხარეა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შემდგომი განვითარება, სოციალისტური ბაზრისა და მეურნეობის მართვის ეკონომიკური მეთოდების დამთავრებული სისტემის შექმნა. საკუთრების შესახებ კანონის განხილვისას ჩვენი მიზანი უნდა იყოს, რომ უზრუნველვყოთ სხვადასხვა სახეობის საკუთრების თანასწორობა, და ამით მათი ნამდვილი შეჯიბრებითობა.

ბაზრის შექმნის პრაქტიკულ ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ 1988 წელთან შედარებით 1989-1990 წლებში სახელმწიფო შეკვეთის წილის მკვეთრი შემცირება (2-3-ჯერ), აგრეთვე საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლა. მაგრამ საბითუმო ვაჭრობის ეტაპობრივმა დანერგვამ ჯერჯერობით გამოიწვია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის გართულება, რადგან თავისუფალი გაყიდვის ნაცვლად ლიმიტირების ძველი პრინციპი კვლავ არის საბითუმო ვაჭრობის პრაქტიკაში. აქ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა გველის.

საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლა უაღრესად მჭიდროდ უკავშირდება მთლიანი საგადასახადო სისტემის შემოღებას. მისი პირველი ეტაპის — 1990 წლიდან შრომის ანაზღაურების ფონდის მატების პროგრესული დაბეგვრის შესახებ წინადადება დღეს მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ. შემდეგი ნაბიჯები დაკავშირებულია საწარმოთა შემოსავლის დაბეგვრის შემოღებასთან. ამ რთული პრობლემის მთელი რიგი ვარიანტები უკვე დამუშავებულია, მუშაობა გრძელდება.

ახლა საგადასახადო სისტემა მარტო წმინდა ფისკალური ხასიათისა კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა მოგვევლინოს უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური პროპორციების რეგულატორად, კერძოდ, მოხმარებისა და დაგროვების შეფარდების რეგულატორად. უნდა იყოს შეღავათიანი დაბეგვრა წარმოების იმ საშუალებებისა, რომლებსაც ისინი ახმარენ წარმოების განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, საწარმოო პოტენციალისა და სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების მატებას, ანუ ჩვენი სიმდიდრის დაგროვებას. და პირიქით, უფრო მკაცრი საგადასახადო სისტემა უნდა შემოვიღოთ რესურსებზე, რომლებსაც უხეშად რომ ვთქვათ, ვყიდით. ეს არის საწინდარი იმისა, რომ ვიცხოვრებთ ისე, როგორც საბანი გვეწვდება.

მეორე, რეფორმის განვითარება დაკავშირებულია ცენტრალიზებული დაგეგმვის ახალ კონცეფციაზე გადასვლასთან. საქმის არსი ის არის, რომ მთელი ძალები მოვახმაროთ სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ძირითადი პროპორციების, სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრას, მათ შორის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, პროგრესული სტრუქტურული ძვრების უზრუნველყოფისათვის საკვანძო მაჩვენებლებსა და პროგრამებს, რეგიონალური და სახალხო-სამეურნეო მიზნების შეთანხმებას. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კონკრეტული ამოცანაა ორგანულად ჩააბას სახელმწიფო საგეგმო ცენტრალიზმი განახლებულ ეკონომიკაში, სადაც იფუნქციონირებს საკუთრების სხვადასხვა ფორმა, სოციალისტური ბაზარი, საწარმოთა მართვის დემოკრატიული ფორმები. ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას სახელმწიფო შეკვეთის კონცეფციაზე, ამასთან მხედველობაში გვაქვს, უზრუნველვყოთ მისი ოპტიმალური დონე და უარი ვთქვათ 100 პროცენტიან სახელმწიფო შეკვეთაზე, მაშინაც კი, როცა საქმე ეხება უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციას, საწარმოთა უფლებების გაფართოებისათვის.

მესამე, სახელმწიფო დაგეგმვის გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი მიმართულება დღეისათვის არის **1990 წლის გეგმის პროექტში მოკავშირე რესპუბლიკების თვითმმართველობასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა.** პირველები, როგორც ცნობილია, 1990 წლის დამდეგიდან გადავლენ ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკები. მიმდინარეობს მთელი რიგი რეგიონების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისათვის მზადება.

თუ ვილაპარაკებთ იმ მთავარზე, თუ რა შეაქვს 1990 წელს ეკონომიკური რეფორმის განვითარებაში, ეს უთუოდ არის რეგიონალური და რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში. ეს არის მომავალი წლის გეგმის პროექტის უზარმაზარი როლი.

ამ დიდი ამოცანის რეალიზაცია მოითხოვს სახელმწიფო რეგულირების ახალი მეთოდების შემუშავებას და 1990 წლის გეგმის პროექტში მათს ასახვას.

რეფორმის გაღრმავება საჭიროა განმტკიცდეს კანონმდებლურად სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებების გათვალისწინებით. ამიტომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი აქტიურად მონაწილეობს შესაბამისი საკანონმდებლო გადაწყვეტილებების მომზადებაში.

და ბოლოს, რაც მინდოდა მეთქვა, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში მთავრობის მიერ გეგმის პროექტის შეტანის შემდეგ ჩვენ უმაღლესი საბჭოს კომისიებისა და სესიის ფარგლებში მოგვიწევს ძნელი, ალბათ, ჩვენთვისაც და თქვენთვისაც უჩვეულო მუშაობა გეგმის განხილვის გაღრმავების მიზნით. ვფიქრობთ, რომ ამ მუშაობის ორგანიზაციის დონეზე, მომკითხველობის, აგრეთვე კონსტრუქციულობის იმ ატმოსფეროზე, რომელიც ერთად უნდა შევქმნათ, დიდად იქნება დამოკიდებული საქმის წარმატება.

ჩვენ საგულდაგულოდ ვემზადებით ამ მუშაობისათვის. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სხვა ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების სპეციალისტები მუდამ მზად იქნებიან მოგაწოდოთ, ამხანაგო დეპუტატებო, ნებისმიერი ინფორმაცია, და თუ საჭირო იქნება კვალიფიციური კონსულტაციაც. ამ მუშაობაში ვაბამთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ყველა დარგობრივ კომპლექსს — სოციალურს, აგროსამრეწველოს, მანქანათმშენებლობისა და სხვებს.

უეჭველია ამ მუშაობაში უნდა ჩავაბათ სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტიც, აგრეთვე სსრ კავშირის ყველა სხვა ცენტრალური ეკონომიკური ორგანო, სამინისტრო და უწყება.

მოგახსენებთ, რომ მთავრობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს მომავალი წლის სახელმწიფო გეგმის პროექტს, რომელიც სტრუქტურით და მაჩვენებელთა შემადგენლობით მკაცრად შეესაბამება სახელმწიფო საწარმოს შესახებ სსრ კავშირის კანონს, აგრეთვე გათვალისწინებული იქნება მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებისადმი ახალი მიდგომა.

სახელმწიფო გეგმაზე ჩვენს მუშაობაში არ ვაიდეალებთ ამოსავალ ბაზას, ანუ მიმდინარე წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, ვემყარებით საწარმოთა წინადადებებს მომავალი წლისათვის, მოკავშირე რესპუბლიკებისა და სამინისტროების გეგმების პროექტებს, გეგმის მაჩვენებლების შემადგენლობიდან ამოვიღეთ ყველა მთლიანი შეფასება, და რა თქმა უნდა, განხორციელდა მნიშვნელოვანი შემობრუნება, რომელიც ასახავს ეკონომიკის სოციალური ხელახალი ორიენტაციის მზარდ ტემპს.

სახელმწიფო გეგმის კავშირი და ზემოქმედება საწარმოზე, მოკავშირე რესპუბლიკებსა და სამინისტროებზე ხორციელდება შეკვეცილი სახელმწიფო შეკვეთისა და ამ შეკვეთიდან გამომდინარე ცენტრალიზებულად განაწილებული უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო რესურსების ლიმიტების მეშვეობით.

და ბოლოს, სახელმწიფო გეგმის პროექტის შემადგენლობაში ავსახავთ ისეთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ სახალხო-სამეურნეო ბალანსებს, როგორიც არის სახელმწიფოს კრებსითი ფინანსური ბალანსი, მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსი, კაპიტალურ დაბანდებათა ფორმირებისა და განაწილების კრებსითი ბალანსი, აგრეთვე სავალუტო და საგარეო სავაჭრო ბალანსები. გეგმის პროექტის ამ განყოფილებას ახასიათებს ქვეყნის ეკონომიკის ის საერთო მდგომარეობა, რომლის მიღწევას ვაპირებთ მომავალ წელს და რომელიც პრაქტიკულად მოიცავს სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების ყველა უმნიშვნელოვანეს სფეროს.

ვფიქრობ, ამხანაგო დეპუტატებო, რომ ამ გეგმის პროექტის შემუშავებისას დაინახავთ, რომ საწარმოებსა და მოკავშირე რესპუბლიკებს ეძლევათ დამოუკიდებელი საქმიანობის ფართო ასპარეზი, და იმას, რის დატოვებასაც თავის ხელში აპირებს ცენტრი, თქვენ დამოუკიდებლად შეაფასებთ და საჭიროების შემთხვევაში მიიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

ამასთან თვით გეგმა მხოლოდ ასეთი შემადგენლობით არ მიგვაჩნია საკმარისად მისი პროპორციების ღრმა ანალიზისათვის. ამიტომ მხედველობაში გვაქვს წარმოგიდგინოთ მეტად ვრცელი მოხსენება 1990 წლის გეგმის პროექტის შესახებ და დიდი რაოდენობის საცნობარო მასალა კომპლექსების, დარგების, ცალკეული პრობლემების ჭრილით. და რა თქმა უნდა, როგორც უკვე მოგახსენეთ, განხილვის დროს მოგაწოდებთ ყველა საჭირო დამატებით ინფორმაციას.

მანამდე კი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სხვა ცენტრალურ ეკონომიკურ ორგანოებს მოუწევთ კიდევ უფრო ძნელი ამოცანის გადაწყვეტა — დეტალურად დაამუშაონ ეს გეგმა მთავრობაში.

დასასრულ მინდა გისურვოთ, ამხანაგო დეპუტატებო, იმ პერიოდში, სანამ ჩვენ ვიმუშავებთ მთავრობაში გეგმის პროპორციებზე, კარგად დაისვენოთ, მოიკრიფოთ ძალ-ღონე, რადგან თქვენთან ერთად მოგვიწევს ღრმად გავერკვეთ მომავალი წლის გეგმასთან დაკავშირებულ საკითხებში, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ კი მეტად პასუხსაგები სახელმწიფო გადაწყვეტილებანი უნდა მიიღოს მისი დამტკიცებისას.

ისტორიის ფურცლები

როგორ დაიდო ხელშეკრულება

მასალები საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ისტორიისათვის

წერილი მეოთხე

მკითხველებს ახსოვთ, რომ „კომუნისტის" მიმდინარე წლის 6 და 23 ივლისის ნომრებში დავბეჭდეთ მოსკოვში, 1920 წლის 7 მაისს საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადებასთან უშუალოდ დაკავშირებულ პირთა — დავით სალირაშვილისა და გრიგოლ ურატაძის მოგონებანი.

დავით სალირაშვილის „მოგონებანი და განცდანის" წყარო გახლდათ ჟურნალი „ქართველი ერი" (ბერლინი, 1944, № 6-7; ლექსად იხ. „ფიქრთა და მოგონებათა რვეული", მადრიდი, 1961); გრიგოლ ურატაძის მოგონებანი უმეტესწილად დამყარებული იყო მის წიგნზე „ნამდვილი და ყალბი ისტორია" (პარიზი, 1958), ხოლო ერთი ფრაგმენტი ამოღებული იქნა გრ. ურატაძის ადრინდელი ნაშრომიდან: „საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821-1921 წ.წ., პარიზი, 1939).

ამჟამად ჩვენ ხელთა გვაქვს მიუნხენში 1984 წელს გამოცემული კარლო ინასარიძის წიგნი: „პატარა „ოქროს ხანა" — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 1918-1921", რომელიც წარმოადგენს კრებულს იმ დოკუმენტებისა, მიუნხენის რადიოთი რომ გადაიცა. მათ შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო ამ დიდად საინტერესო კრებულის 153-168-ე გვერდებზე დაბეჭდილმა გრიგოლ ურატაძის და დავით სალირაშვილის მოგონებებმა საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადების შესახებ.

ეს დოკუმენტები ახალი დეტალებით ავსებენ უკვე გამოქვეყნებულ მოგონებებს. დაკვირვებული მკითხველი ზოგიერთ წვრილმან განსხვავებას ან კიდევ წინააღმდეგობრივ ცნობასაც შეამჩნევს, მაგრამ რომელი არის მათ შორის უფრო მართალი ან უფრო ზუსტი, ამას მომავალი ჩაღრმავებული კვლევა-ძიება დაადგენს უთუოდ. მანამდე კი მკვლევართა განკარგულებაში მათი შემოტანა და ხელმისაწვდომად გახდომა აუცილებელ საჭიროებად გვესახება.

კ. ინასარიძის წიგნში ჯერ მოტანილია დამფუძნებელი კრების წევრის, გამოჩენილი ქართველი სოციალ-დემოკრატის გრიგოლ ურატაძის მონათხრობი. როგორც შენიშვნიდან ვიგებთ, თურმე მისი ხმა რადიო „თავისუფლების" სტუდიაში ჩაწერილ იქნა 1955 წლის 7 მაისს. რადიოგადაცემისათვის გრ. ურატაძეს ასეთი სათაური მიუცია: „როგორ დაიდო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება", რომელშიც გვიამბობს:

„ორი წელიწადი უსრულდება დამოუკიდებელ საქართველოს და იგი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი დე იურეთ.

იმ დროს ახალი სახელმწიფოების ცნობა-არცნობა დამოკიდებული იყო პარიზში არსებულ უმაღლეს საბჭოზე, რომელშიაც შედიოდნენ გამარჯვებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები — ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მეთაურობით. ჩვენი მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ჩვენს რესპუბლიკას საერთაშორისო ცნობა მიეღო, რაც შეიძლება დაჩქარებით.

უმაღლესმა საბჭომ ყველა იმ ახალი სახელმწიფოების ცნობა-არცნობა, რომლებიც რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე შეიქმნა — დაუკავშირა ე. წ. „რუსეთის საკითხს". რუსეთის საკითხის გადაჭრა კი გადაიდო სულ ბოლოსათვის. საერთაშორისო ცნობის დაგვიანება კი დიდ საფრთხეს უმზადებდა ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას. საკითხის დასაჩქარებლად ჩვენს მთავრობას აზრათ მოუვიდა ეცადა ცნობის მიღება თვით საბჭოთა რუსეთიდან და თუ ამას შესძლებდა — დარწმუნებული იყო, ამ ცნობას გავლენა ექნებოდა პარიზის უმაღლეს საბჭოზედაც — საქართველოს ცნობის საკითხში. ცდა ბედის ნახევარიაო — იტყვიან. ამიტომ მთავრობის თავჯდომარემ — ნოე ჟორდანიამ დამავალა მე, მომეხერხებია როგორმე მოსკოვში მისვლა და საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება.

ჩემი წასვლა უნდა მომხდარიყო საიდუმლოდ, რომ არ გაეგოთ ადგილობრივ კომუნისტებს, რადგან ესენი მტრულად იყვნენ განწყობილნი თავის საკუთარ ქვეყნისადმი, და შეეძლო ხელი შეეშალათ ჩვენი ცნობისათვის. არც იმ ძალებს უნდა გაეგოთ, რომლებიც სამოქალაქო ომში იყვნენ ბოლშევიკებთან, რადგან მე მათ ტერიტორიაზე მიხდებოდა გავლა.

მოგზაურობა მეტად ძნელი აღმოჩნდა. ხიდები ბევრ ადგილას ჩალეწილი იყო, ხშირად რკინიგზის რელსები აყრილი, სადგურები გადამწვარ-მინგრეული. ნოვოროსიიდან როსტოვამდე ვიმგზავრე ორთქმავალით. ორთქმავალს მივყავდით დანგრეულ ხიდამდე. იქ ხიდის ნანგრევებზე ფეხით გადავდიოდით და იქიდან მივყავდით მეორე ორთქმავალს შემდეგ მდინარემდე. იქ კიდევ იგივე პროცედურა მეორდებოდა. ერთ ადგილას ორთქმავალს ნახშირი არ ეყო და ტყის ახლოს გაჩერდა. ჩვენ დავაგროვეთ შეშა, შეუკეთეთ ცეცხლი და გავწიეთ. სადგურები გზაში სავსე იყო ხალხით, ქალებით, ბავშვებით, კაცებით.

დიდი დავიდარაბით ჩავედი როსტოვში. იქ მოთავსებული იყო ჩრდილო კავკასიის „სამხედრო სარევოლუციო საბჭო", რომელსაც თავმჯდომარეობდა სერგო ორჯონიკიძე. ორჯონიკიძე საქართველოს დაუძინებელი მტერი იყო. ის და მისი ამხანაგები, რომლებიც გაძევებულნი იყვნენ საქართველოდან ექსპროპრიაციის ან მოღალატეობის ჩადენისათვის, საქართველოს „მენშევიკურ რესპუბლიკას" უწოდებდენ.

როსტოვ-ჩრდილოკავკასიის რაიონში გაჩაღებული იყო სამოქალაქო ომი. იქ მოქმედი ჯარი ემორჩილებოდა იმ სამხედრო რევოლუციურ საბჭოს, რომლის თავმჯდომარე ორჯონიკიძე იყო. მის ხელში იყო აგრეთვე ყოველგვარი ცნობათა გადამცემი აპარატი — ფოსტა, პირდაპირი მავთული და სხვა.

ორჯონიკიძე მეტად მტრულად შეხვდა ჩემს მისიას. მარწმუნებდა, რომ მოსკოვი არას გზით არ დათანხმდებოდა საქართველოს იურიდიულ ცნობაზე, რადგან ამის წინააღმდეგი იქნებოდა სტალინი, რომელიც მაშინ საბჭოთა მთავრობის ეროვნებათა კომისარი იყო. მეც მასთან ვარ ამ საკითხში, ამიტომ შენი მოსკოვში წასვლა უმიზნოა, სჯობია, დაბრუნდე საქართველოში და ამაში კი ყოველგვარ დახმარებას გაგიწევ — მეუბნებოდა იგი.

ორჯონიკიძე ჩემი ძველი ნაცნობი იყო. ამიტომ გარეგნულად მეტად თავაზიანად მექცეოდა, მარა როგორც კი მოსკოვში წასვლაზე ჩამოვუგდებდი ლაპარაკს — უარს მეუბნებოდა. ერთადერთი სამსახური, რომელიც მან გამიწია იყო ის, რომ მომცა ოფიციალური ნებართვა გავსულიყავი სადგურში. როცა მინდოდა: ორი კვირა დავდიოდი სადგურზე, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ერთი სამგზავრო მატარებელიც არ დაძრულა მოსკოვისაკენ. იყო რამდენიმე ე. წ. „დელეგატის ვაგონი", მარა ვაგონის ყველა კომენდანტი ითხოვდა საგანგებო ნებართვას, რომელსაც სერგო ორჯონიკიძე არ იძლეოდა. მე მაინც განვაგრძობდი სადგურზე გასვლას იმ იმედით, რომ ერთხელ მაინც წავაწყდებოდი მატარებელს.

ერთ საღამოს სადგურზე მოვიდა არანორმალურად გრძელი მატარებელი საქონლის ვაგონებისაგან შემდგარი. ვაგონებზე წითელი ასოებით იყო წარწერილი: „ამხანაგ ლენინს — პერეკოპის მუშებისაგან!". პერეკოპზე იმ ხანებში ბრძოლა იყო ვრანგელის ჯართან, რომელიც დაამარცხა წითელმა ჯარებმა. წითელი ჯარის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო ცნობილი ბოლშევიკი — სოკოლნიკოვი. როგორც გამოირკვა, იგი ახლა მიდიოდა მოსკოვში და თან მიჰქონდა პურის ფქვილით და სხვა სანოვაგით დატვირთული „საჩუქრად ლენინს", ვითომდა იქაური მუშებისაგან. ნამდვილად კი იყო ომის ნადავლი ვრანგელის დამარცხების შემდეგ.

სადგურში ვიყავი, როცა ეს მატარებელი მოვიდა. გავიგე რომ მატარებელი პირდაპირ მოსკოვში მიდიოდა და არის „ამხანაგ სოკოლნიკოვის" განკარგულებაში. მოვახერხე მისი ნახვა. მან ჯერ მიმიღო, როგორც ამხანაგი, მაგრამ როცა გაიგო ჩემი მისია და გაეცნო ჩემს მანდატს, რომელიც როგორც მეფის რეჟიმის დროს, ისე ახლაც შარვლის სათავეში მქონდა ჩამალული, მეგობრული კილოთი მითხრა: „რადგან თქვენ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი ხართ, მე არ შემიძლია შეგთავაზოთ ადგილი ჩემს ვაგონში", და მოახდინა განკარგულება ჩამოებათ მისი მატარებლისათვის სპეციალური ვაგონი ჩვენი მისიისათვის. მე მეტად გახარებული ვიყავი მით, რომ საშუალება ვიშოვე მოსკოვში წასასვლელად. ჩემდა იღბლად ორჯონიკიძე ამ დღეს ჩრდილო კავკასიაში იყო წასული და ხელის შეშლა არ შეეძლო. ალბათ, ძალიან იწყინა, რომ აღარ დავხვდი, მაგრამ რაღას ვააწყობდა!

ამ მატარებლით ჩავედი მოსკოვში, პირველყოვლისა ვინახულე ლენინი და ჩემი მისია გავაცანი. „ქართველი მენშევიკები — მიპასუხა მან, — სულ სხვა ხალხი ხართ, თქვენთან მუშაობა შეიძლება, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ თქვენი ტერიტორია არ იქნება გამოყენებული უცხო ჯარების მიერ სამხარ ბაზად ჩვენს წინააღმდეგ". მე მივეცი სათანადო განმარტება, რის შემდეგ, პირადი მდივნის პირით აცნობა საგარეო საქმეთა კომისარს — ჩიჩერინს — დაეწყო ჩემთან მოლაპარაკება და რაც შეიძლება დაჩქარებით დაესრულებინა. მისგან ასე ადვილად დათანხმება მოლაპარაკებაზე შეიძლება აიხსნას ერთი მხრით იმით, რომ ბაქო თავისი ნავთით უკვე მის ხელში იყო და აღარ სურდა გაერთულებია მდგომარეობა კავკასიაში, მით უმეტეს, რომ კარზე ადგა ომი პოლონეთთან.

მეორე ღამეს ვინახულე ჩიჩერინი. ვამბობ ღამით, რადგან კრემლის კომისარიატები თითქმის ყველანი მუშაობდნენ ღამით. ჩიჩერინმა თავის მოადგილე — კარახანი — დანიშნა თავის წარმომადგენლად, და დავიწყე მასთან მოლაპარაკება. ხელშეკრულების ტექსტის შედგენა ადვილად მოხერხდა. არც საზღვრების საკითხს გამოუწვევია დიდი დავა, შეიძლება იმიტომ — როგორც შემდეგ ერთმა გლეხმა მითხრა ციხეში: „რატომ დაგიწყებდენ დავას, თურმე მთელი საქართველოს ერთად წაღებას ფიქრობდენო!".

ზავის შეკვრის დროს ორჯონიკიძე უკვე აზერბაიჯანში იყო თავისი ჯარებით და ყველაფერს შვრებოდა, რომ მოსკოვი საქართველოს დაპყრობის ფაქტის წინაშე დაეყენებია. მე მალე დავრწმუნდი, რომ ლენინმა იცოდა ორჯონიკიძის განზრახვა. იცოდა ისიც, რომ მას მხარს უჭერდა სტალინი. ეს ჩემთვის სავსებით ნათელი გახდა, როცა გავიგე, რომ წითელი ჯარები იბრძვიან საქართველოს საზღვარზე აზერბაიჯანის მხრიდან. მაშინვე მივმართე ლენინს პროტესტით და განუცხადე, რომ თუ არ მიიღებდა საჭირო ზომებს იძულებული ვიქნებოდი შემეწყვიტა მოლაპარაკება. ლენინმა ტელეფონით უბრძანა კარახანს დაუყონებლივ გადაეცა ორჯონიკიძისათვის, რომ თუ საქართველოსთან წითელ ჯარებს შეტაკება მოუხდებოდა პასუხისმგებელი პირადათ ორჯონიკიძე იქნებოდა. ღამის ოთხ საათზე მე და კარახანმა პირდაპირი მავთულით გადავეცით ორჯონიკიძეს ლენინის ეს განკარგულება ბაქოში. ორჯონიკიძემ გვიპასუხა: „არ ვეთანხმები, მაგრამ ვემორჩილებიო"!.

შვიდ მაისს ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებაზე. ბოლშევიკების გულწრფელობა არასდროს არ გვწამდა, მათ ბუნებას ჩვენ კარგათ ვიცნობდით, ვიცოდით, რომ მათი ნდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ თუ ასე ცინიკურად დაარღვევდნენ ხელშეკრულებას და ისიც ისე მოკლე ხანში — ამის დაჯერება კი ძნელი იყო. საბჭოთა მთავრობამ თავის მოვალეობათ გაიხადა, რომ ის არასგზით არ ჩაერეოდა ჩვენს შინაურ საქმეებში, მაგრამ გულში მაინც ინახავდა და აღვივებდა ჩვენი ქვეყნისადმი მტრობას. ქართველი ხალხის მიერ გაძევებული ქართველი კომუნისტებიც, ყოველი მხრიდან უსისინებდენ და აქეზებდენ მოსკოვს საქართველოს წინააღმდეგ; და კიდევაც მოიყვანეს წითელი ჯარები, დაიპყრეს მათი საშუალებით ქვეყანა და გაბატონდნენ".





გრ. ურატაძის რადიოჩანაწერს კ. ინასარიძის წიგნში მისდევს მოსკოვში ვ. ი. ლენინის მთავრობასთან ხელშეკრულების დასადებად გაგზავნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობის მეორე წევრის, ასევე ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატის, ვ. ი. ლენინის პირადად მცნობის დავით სალირაშვილის (დაიბადა 1887 წლის 15 იანვარს თბილისში, გარდაიცვალა 1962 წელს ვაშინგტონში 75 წლის ასაკში და დაკრძალულია პარიზის ახლომდებარე დაბა ლევილის ქართულ სასაფლაოზე) მოგონება ამავე საკითხზე. დავით სალირაშვილი მოგვითხრობს:

„...ერთ დილას ვაგონში გამაცნეს ორი პირი, რომლებიც მოვიდნენ თბილისიდან. ერთს მე კარგად ვიცნობდი. ეს იყო გრიშა ურატაძე, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ხოლო მეორე ამ ვნახე პირველად... უცნობი აღმოჩნდა ბოლშევიკი მირსკი. წარმოშობით ქართველი კობახიძე, პროფესიით ექიმი. ი. სტალინის დავალებით გამოგზავნილი იყო საქართველოში დამანგრეველ მუშაობისათვის. — მოიტანა 8 ათასი ოქროს მანეთი და შექმნა მთელი ქსელი „ტროიკებისა", მაგრამ მალე იქნა დაპატიმრებული... მოხვდა რა ციხეში, მირსკი-კობახიძე დარწმუნდა, რომ ამგვარი სახის „მუშაობა" განწირული იყო და რომ ქართველ ხალხს აბსოლუტურად არ სურდა ბოლშევიკური იდეის მიღება. როცა ის მივიდა ამგვარ რწმენამდე..., მან გადაწყვიტა მიეწერა წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის — ევგენი გეგეჭკორისათვის — გაეთავისუფლებია ის პატიმრობიდან, იმ პირობით, რომ ხელს შეუწყობდა მოსკოვში კეთილმეზობლური დამოკიდებულების შექმნას საბჭოთა მთავრობასთან.

ევგენი გეგეჭკორს, აგრეთვე ნოე ჟორდანიას არწმუნებდა მირსკი-კობახიძე, დარჩებოდა მისი „პატიოსანი სიტყვის" ერთგული და მიიღებდა ყოველ ზომას, რომ ბოლშევიკებს თავი დაენებებიათ საქართველოსათვის. გადაწყვეტილ იქნა მირსკი-კობახიძესა და გრიშა ურატაძესთან ერთად წავსულიყავით მოსკოვში — დავალებით გავეგო განწყობილება მოსკოვის მართველ სფეროებში საქართველოს მიმართ".

დავით სალირაშვილი შემდეგ წერს: „დონის როსტოვში მისვლისას, ჩვენ შევხვდით სერგო ორჯონიკიძეს, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით როგორც საქართველოს ეროვნული მთავრობის სასტიკ მტერს, მართალია მან ჩვენ შეგვხვდა ფორმალურად მეგობრულად, მაგრამ გადაწყვეტილად განაცხადა, რომ ჩვენ არ უნდა წავსულიყავით მოსკოვში, რომ მას ყველაფრის გაფორმება შეუძლია დონის როსტოვში. მისი დემაგოგიურობის საზარლობა მეტად ძნელი წარმოსადგენია. ჩვენს კამათში ჩაერია მირსკი-კობახიძეც, რომელიც უმტკიცებდა სერგო ორჯონიკიძეს, რომ ჩვენ ვართ უფლება-მოსილი საქართველოს მთავრობის მიერ პირადათ ლენინს მოვახსენოთ საქართველოს მთავრობის სურვილი, ლენინს, რომელიც კარგად იცნობდა ნოე ჟორდანიას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობების დროს უცხოეთში. მაგრამ სერგო ორჯონიკიძეზე არავითარი დასაბუთება არ მოქმედებდა".

დავით სალირაშვილი შემდეგ განაგრძობს:

„მირსკი-კობახიძემ მოითხოვა, როგორც აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა, პირდაპირი ტელეფონის ხაზი ლენინთან და სტალინთან, ვინაიდან, ის მივლინებაში იქნა გაგზავნილი საქართველოში მათ მიერ, მაგრამ სერგო ორჯონიკიძე ამაზეც არ დათანხმდა; და ამით დამთავრდა ეს მეტად მწვავე კამათი. მე ვისარგებლე ორჯონიკიძის წასვლით და ვთხოვე მილგს, რომელიც მოწმე იყო ოთხი ქართველის დავისა, ელაპარაკა ჩემთან მარტო... ჩვენ გავედით მეორე ოთახში და ვკითხე, არ უკვირს მას სერგო ორჯონიკიძის მოქმედება. მან თქვა, რომ ორჯონიკიძეს არ აქვს უფლება დაგვაკავოთ თქვენ გზაზე, და რომ ის შეეცდება დაითანხმოს ორჯონიკიძე, უკიდურეს შემთხვევაში, მისცემს შესაძლებლობას მირსკის დაელაპარაკოს ლენინს. მართლაც, სამი საათის შემდეგ მირსკიმ მიიღო შესაძლებლობა დალაპარაკებოდა პირადათ ლენინს პირდაპირი ხაზით. ლენინისაგან მიიღო ბრძანება ორჯონიკიძემ, რომ მას დაუყოვნებლივ გაეშვა საქართველოს დელეგაცია... ამის შემდეგ ორჯონიკიძე გახდა სრულიად სხვაგვარი, ტკბილი და თავის დიდებულ სალონ-ვაგონშიც მიგვიწვია... აი ვზივართ სალონ-ვაგონში ოთხი ქართველი — ორი ბოლშევიკი: ორჯონიკიძე-კობახიძე — და — ორი სოციალ-დემოკრატი: ურატაძე და მე — და ვიხილავდით რუსეთის ურთიერთობას საქართველოსთან, რომლის დროს ნათელი გახდა ორი სხვადასხვა ორიენტაცია... და — ბოლოს ჩავედით მოსკოვში... მირსკი-კობახიძემ მოგვათავსა თავის ბინაში".

დავით სალირაშვილი შემდეგ თავის მოგონებაში — საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დადების შესახებ 1920 წლის მაისში წერს:

„ჩვენ გვითხრეს, რომ სანამ საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან წარვსდგებოდეთ, აუცილებელია ეროვნებათა კომისარ—სტალინთან შეხვედრა.. შევხვდით სამი ქართველი სტალინს თავის კაბინეტში; იქვე იჯდა კამენევიც, რომელიც მოსული იყო, როგორც ჩანს, პარტიული საქმეებისათვის. სტალინმა, როგორც კი მოახსენეს მას, მიგვიღო დაუყოვნებლივ. ის მომზადებული იყო ჩვენი მიღებისათვის იმავე მირსკი-კობახიძის მიერ, რომელმაც მისცა მას ვრცელი მოხსენება ნამდვილი მდგომარეობის აღწერით საქართველოში; დასკვნით, რომ აუცილებელია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა საბჭოთა მთავრობის მიერ. ეს მოხსენება-წერილი წარედგინა ლენინს, ხოლო ასლი სტალინს... ჩვენ მოკლედ შევნიშნეთ, ქართველ ხალხს არ შეუძლია წავიდეს საბჭოთა მთავრობის მიერ არჩეული გზით; ის მიდის თავისი გზით, მაგრამ ჩვენ არ ვართ მტრები და არ გვსურს ხელი შეუშალოთ იმას, რაც ხდება რუსეთში. ჩვენ გვსურს ასეთივე პოზიცია რუსეთისაგანაც; ამის დამამტკიცებელი საბუთი კი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა".

დავით სალირაშვილი შემდეგ წერს:

„სტალინი ჩვენ გვისმენდა ყურადღებით... დასასრულს თქვა: „მე შემეძლება მოგცეთ პოზიტიური პასუხი, თუ ხელშეკრულებაში იქნება ჩართული პუნქტი იმის შესახებ, რომ საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებს თავისთავზე არ დაუშვას, — რომელიც არ უნდა იყვეს, — მტრული ძალები თავის ტერიტორიაზე". — ჩვენ ამაზე მივეცით დადებითი პასუხი. მაშინ სტალინმა მიმართა იქვე მჯდომ კამენევს და ღიმილით შეეკითხა: „აბა, ამხანაგო კამენევო, რა უნდა გვქონდეს ჩვენ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ცნობის წინააღმდეგ?" — კამენევი, რომელიც მთელი ხნის განმავლობაში გაჩუმებული იჯდა, სჩანს, გაკვირვებული იყო ჩვენი საუბრით და მხოლოდ ახლა ამოიღო ენა: „რა თქმა უნდა, ამხანაგო სტალინ, რა უნდა გვქონდეს ჩვენ ცნობის წინააღმდეგ. დაე, იცხოვრონ და იმუშაონ, როგორც მათ ეჩვენებათ უკეთესად; მხოლოდ, აი, ეს ნოე რამიშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ასე მკაცრად ნუ მოქმედებს ადგილობრივი ბოლშევიკების წინააღმდეგ".

დავით სალირაშვილი შემდეგ წერს: „მიღება სტალინთან დამთავრდა. ჩვენ კმაყოფილი ვიყავით სტალინის დასკვნით, რომელიც სამი დღის შემდეგ თვითონ მან გადასცა პირადათ ლენინს. ლენინი, გაეცნო რა საქმეს, სტალინის დასკვნაზე მიაწერა: „თანახმა ვარ", და იმავე საათში გადასცა ჩიჩერინს, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს, რომელსაც ჩვენთან ერთად უნდა გამოემუშავებია შესაბამისი ხელშეკრულება. ლენინმა შეგვპირდა, რომ ის მიგვიღებს ჩვენ, როცა დამთავრდება ამ ხელშეკრულების ფორმალური მხარე.

მეტი რა გვინდოდა? წარმატება იყო თვალსაჩინო. მირსკი-კობახიძე იყო აღფრთოვანებული... ჩიჩერინმა, ლენინისა და სტალინის თანხმობით, საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება მოიწონა 1920 წლის 7 მაისს და ხელშეკრულებას ხელი მოაწერა საბჭოთა რუსეთის მთავრობის უფლებამოსილებით — კარახანმა, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილებით გრიგოლ ურატაძემ.

დაბოლოს დავით სალირაშვილი დასძენს: „ორი დღის შემდეგ მოხდა მიღება ლენინთან, რომელიც გაგრძელდა სულ 15-ტი წუთი. მან გვისურვა, რომ ეს ხელშეკრულება არ დარჩენილიყო მხოლოდ ქაღალდზე და ორივე ქვეყნის საკეთილდღეოდ მალე იქნას ხორცშესხმული. „აბა, — თქვა ლენინმა — ააშენეთ თქვენთან თქვენებურად დემოკრატიული წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი, ხოლო ჩვენ შევქმნით მას რევოლუციურად" — დასძინა მან ხუმრობით".

„მაგრამ, — დასძენს დავით სალირაშვილი თავის მოგონებაში,— 1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა რუსეთის ჯარებმა, ომის გამოუცხადებლად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ...გადალახეს დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრები... ომი გაგრძელდა თვე-ნახევარი, და მიუხედავად გმირული თავდაცვითი ბრძოლების, რუსეთის ჯარი თბილისში შემოვიდა 1921 წლის 25 თებერვალს, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა".

ასე იყო თუ ისე, 1920 წლის 7 მაისს ღამის 12 საათსა და 20 წუთზე, მოსკოვში საბჭოთა რუსეთთან დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის ძალით მან იურიდიულად სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

10 მაისს უკვე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას მოსკოვში ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნია გრიგოლ ურატაძისათვის:

„მოგილოცავთ საზავო ხელშეკრულების დადებას. გადაეცით „სოვნარკომს", რომ ზავის ამბავს ხალხი ღრმა კმაყოფილებით შეხვდა. იმედი მაქვს, რომ დღეიდან გაჰქრება ყოველივე გაუგებრობა რუსეთსა და საქართველოს შორის და ორივე მოძმე ხალხი მშვიდობიანათ და თანხმობით იმუშავებს ცხოვრების სოციალისტურ საფუძვლებზე გარდასაქმნელად. სალამი მეგობრებს, ამხანაგებს, და ნაცნობებს" (იხ. გაზ. „ერთობა", 11.V.1920, № 104; შდრ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 11.V.1920, № 103).

10 მაისითვე დათარიღებული საქართველოს მთავრობის პირველი ცნობა „ზავი საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის" ქართულ პრესაში გამოქვეყნდა მეორე დღეს (იხ. „ერთობა", 11.V.1920, № 104), ხოლო საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ — პარლამენტმა მის განხილვას მიუძღვნა 11 მაისის სხდომა (სიტყვებით გამოვიდნენ ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი...).

მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნებულმა გრ. ურატაძემ ინტერვიუ მისცა მთავრობის ოფიციალურ გაზეთებს „ერთობასა" და „საქართველოს რესპუბლიკას". პირველმა მათგანმა გამოაქვეყნა „საბჭოთა რუსეთი და საქართველო — საუბარი ამხ. გრ. ურატაძესთან" (იხ. „ერთობა", 4.VI.1920 წ. №123), ხოლო მეორემ: „დამფუძნებელი კრების წევრის გრ. ურატაძის ნაამბობი, როგორ შეხვდნენ საზავო წინადადებას". (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", 4.VI.1920, № 122). თავის საუბარში გრიგოლ ურატაძე იმოწმებდა გაზეთ „პრავდის" 1920 წლის 9 მაისის ნომერს, რომელიც წერდა: „7 მაისს ხელი მოაწერეს ზავს საქართველოსა და რუსეთს შორის. საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა ჩამოიტანა პატარა „ჩემოდანი", ნახა ამხ. ჩიჩერინი, მოილაპარაკეს და 2-3 სხდომის შემდეგ ზავი შეკრეს. საქართველოს წარმომადგენელმა ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას და უკანვე გაემგზავრა. აი, რას ნიშნავს, როდესაც დემოკრატებს გულწრფელად სურთ ზავი, რა ადვილად და ჩქარა გამოიძებნება ენა" (შდრ. „საქართველოს რესპუბლიკა", 4.VI. 1920, № 122, გვ. 3).

ეტყობა, გრ. ურატაძემ სწორედ მაშინ ჩამოიტანა საქართველოში საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების ერთი ცალი (ორიდან ერთი მოსკოვში დარჩა), რადგან მისი მხოლოდ ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ დაიბეჭდა ქართულ ოფიციალურ პრესაში აღნიშნული ხელშეკრულების ტექსტი დამატებითურთ (იხ. „ერთობა". 6.VI.1920, № 125, 8.VI. 1920, № 126; „საქართველოს რესპუბლიკა", 8.VI. 1920, № 125).

სულ მალე, 1920 წლის 12 ივნისს კი ხელი მოაწერეს ზავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის დელეგაციებმაც.

როგორც უკვე არაერთხელ იყო ზემოთ აღნიშნული, მიუხედავად 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულებისა, 1921 წლის თებერვალში წითელმა ჯარმა დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და აქ საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა.

ამის გამო ეროვნული მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით იძულებული გახდა უცხოეთში გახიზნულიყო და განეგრძო პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად.

ბუნებრივია, ამ ბრძოლაში, მათთვის მთავარ დასაყრდენ პოლიტიკურ და იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება. ამიტომ მათ მთელი ყურადღება სწორედ ამ დოკუმენტის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით შესწავლისაკენ მიმართეს და ამ საქმეში გარდა ემიგრირებული ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებისა, ჩართეს ერთი ლიგა და მსოფლიოში სახელმოხვეჭილი სპეციალისტი — იურისტები, მათ შორის, პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო უფლების პროფესორი ლუი დე ფური, რომლის გამოკვლევას „საქართველო და საერთაშორისო უფლება" (პარიზი, 1933) გაგაცნობთ ჩვენს მომდევნო პუბლიკაციებში.

გურამ შარაძე.

• • •

სურათებზე: ირაკლი წერეთელი, ნოე რამიშვილი, დავით სალირაშვილი (მარცხნიდან); კარლო ინასარიძისა და დავით სალირაშვილის წიგნთა გარეკანები.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
7 აგვისტოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კამბოჯა

დაგმეს გენოციდისათვის

ნიუ-იორკი. ნობელის პრემიის ოცმა ლაურეატმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ ცნოს კამბოჯის ოპოზიცია.

მიმართვაში ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, გენერალური ანსამბლეის მორიგ სესიაზე კამბოჯა არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი „დემოკრატიული კამბოჯის კოალიციური მთავრობით", ვინაიდან მასში დომინირებს პოლპოტური დაჯგუფება „წითელი ქხმერები".

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ პოლპოტური რეჟიმის ხელმძღვანელები დამნაშავენი არიან ასობით უდანაშაულო კამბოჯელის მკვლელობაში. ისინი უნდა წარდგნენ საერთაშორისო სასამართლოს წინაშე გენოციდისათვის. „წითელი ქხმერების" მცდელობა სახე იცვალონ „კოალიციურ მთავრობაში", რომელსაც ხელმძღვანელობს პრინცი სიანუკი, ვერ შეცვლის მათი მოღვაწეობის შინაარსს.

მიმართვის ავტორების აზრით კამბოჯა გენერალური ანსამბლეის სესიაზე უნდა წარმოადგინოს ქვეყნის მთავრობამ, იმ პირობით, რომ ქვეყანაში საყოველთაო არჩევნები ჩატარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანსა და კამბოჯის ოთხივე მხარეს შორის მიღწეული ხელშეკრულებით დათქმულ ვადებში, საერთაშორისო კონტროლის ქვეშ.

● გფრ

მუქარამ ვერ გაჭრა

ბონი. დაძაბული მდგომარეობაა დიუსელდორფის და ქვეყნის სამხრეთში მდებარე სხვა ქალაქების აეროპორტებში. აქ თავი მოიყარა შვებულებიდან დაბრუნებულმა მრავალმა ათასმა ტურისტმა.

დასავლეთგერმანელი ავიაკომპანიის „ლუფტჰანზას" მოსამსახურეების გაფიცვის გამო ბევრი რეისი გაუქმდა, ბევრი მიმართულებით ფიქსირებულია ხანგრძლივი დაგვიანება.

გაფიცულები მოითხოვენ ახალ სატარიფო ხელშეკრულებებს, როგორც სამუშაოს შენარჩუნების გარანტიას და ხელფასის გაზრდას. გაფიცვის მიზეზი გახდა კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება „წარმოების რაციონალიზაციის" ფარგლებში მომსახურეთა ერთი ნაწილის სამუშაოდან დათხოვნის თაობაზე. გერმანელ მოსამსახურეთა პროფესიული კავშირების გაერთიანებამ გაავრცელა მოწოდებები უვადო გაფიცვის შესახებ, რომელიც გასულ ორშაბათს უნდა დაწყებულიყო. კომპანიის მესვეურებმა განაცხადეს, რომ სამუშაოდან დაითხოვენ ყველას, ვინც მონაწილეობას მიიღებს ღონისძიებაში. მუქარამ ვერ გაჭრა, გაფიცვა მხოლოდ ცოტა ხნით გადაიდო.

● პოლონეთი

გაძვირების შედეგად

ვარშავა. პოლონეთში კვლავ სოციალური დაძაბულობაა. იგი გაძლიერდა სურსათ-სანოვაგის გაძვირების შედეგად. ყოველდღიურად ძლიერდება საგაფიცვო მოძრაობა სიძვირის ზრდის გამო ხელფასის მომატების შესახებ მოთხოვნათა მხარდასაჭერად.

დირექციასა და საგაფიცვო კომიტეტს შორის შეთანხმების ხელმოწერით დამთავრდა ლეგნიცის სავოევოდოში ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის მუშაკთა გაფიცვა, რომელმაც სამ დღეს გასტანა. გაფიცულთა ეკონომიკური მოთხოვნების ნაწილს, რომელიც შეიძლება მხოლოდ მთავრობის დონეზე დაკმაყოფილდეს, მოგვიანებით განიხილავენ.

გაფიცვა შეწყვიტეს სტრახოვიცის სატვირთო ავტომობილების ქარხნის მუშებმაც, მას შემდეგ, რაც დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნები ხელფასის მომატების შესახებ.

კვლავ დაძაბული ვითარებაა რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებში. მუშები აწყობენ საპროტესტო აქციებს, მოითხოვენ ხელფასის განაკვეთების გადასინჯვასა და სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებამ ვერ მიაღწია სასურველ შედეგს, რის გამოც, შაბათს ერთი საათით შეწყდა სარკინიგზო მიმოსვლა პოლონეთის რკინიგზის სილეზიისა და ქვემო სილეზიის მონაკვეთებზე, მუშაობა შეწყდა აგრეთვე დეპოსა და მოძრავი შემადგენლობის სარემონტო სახელოსნოებში. მთელ რიგ სადგურებში გამოფენილია დროშები და ტრანსპარანტები რკინიგზელთა მოთხოვნებით, რომელთა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ისინი უფრო ფართო საგაფიცვო აქციებით იმუქრებიან.

● ისრაელი

ეძებენ კონტაქტებს

კაირო. ისრაელმა ეგვიპტეს სთხოვა, დაეხმაროს ოფიციალურ თელ-ავივს სხვადასხვა არაბულ სახელმწიფოსთან ახლო ურთიერთობების დამყარებაში, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტის პოზიციების დაახლოებაში და ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე არჩევნების მოწყობის, პრემიერ-მინისტრ შამირის გეგმის განხილვაში, იუწყება ეგვიპტის გაზეთი „ალ-ვაფდი", რომელიც ხაზს უსვამს ინფორმაციის განსაკუთრებულ საიდუმლოებას და იმოწმებს დიპლომატიურ წყაროებს.

თხოვნის ინიციატივა მომდინარეობს თვით პრემიერ-მინისტრ შამირისაგან, რომელმაც იგი ჩამოაყალიბა წერილში ეგვიპტის პრეზიდენტისადმი. წერილი ჰოსნი მუბარაქს ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრმა დერიმ გადასცა კაიროში თავისი ამასწინანდელი ვიზიტის დროს.

„მოცემულ პოლიტიკურ სიტუაციაში შესაფერისი პირობები შეიქმნა ასეთი შუამავლობისათვის. მართლაც შესაფერისი დროა", — აღნიშნავს შამირი თავის წერილში.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ვაშინგტონი. ოთხი დემონსტრანტი დააპატიმრა პოლიციამ გროტონში განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზის მახლობლად 6 აგვისტოს იქ გამართული ომის საწინააღმდეგო მანიფესტაციის დროს.** დემონსტრაცია ხიროსიმის ატომური დაბომბვის 44-ე წლისთავს მიეძღვნა. იგი მოაწყო მშვიდობისათვის მებრძოლთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციამ. დემონსტრაციის 4 მონაწილე ახოხდა მუზეუმად გადაკეთებული ატომური წყალქვეშა ნავის „ნაუტილუსის" სამართავ ჯიხურზე და გაშალა ომის საწინააღმდეგო ლოზუნგიანი დროშა. ხელისუფალთა ცნობით, ისინი დაპატიმრებული არიან „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის" ბრალდებით.

● **ნიუ-იორკი. ამერიკელთა 67 პროცენტი იწონებს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის საქმიანობას.** ეს მისი პოპულარობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მას შემდეგ, რაც მან წლეულს იანვარში თეთრი სახლის მეთაურის თანამდებობა დაიკავა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოაწყვეს გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" და ტელეკომპანია სი-ბი-ეს-მა პოლონეთში, უნგრეთსა და საფრანგეთში ბუშის ვიზიტის შემდეგ, თუმცა ახლანდელი „მძევლების კრიზისის" დაწყებამდე. გამოკითხვის მონაწილეთა 17 პროცენტმა განაცხადა, რომ არ იწონებს ბუშის მოღვაწეობას, ხოლო 16 პროცენტს ამის თაობაზე საერთოდ არ გამოუთქვამს აზრი.

● **ლა-პასი. ლათინური ამერიკის ქვეყნები მესამე ათასწლეულში უნდა შევიდნენ ერთიან კონფედერაციად, — განაცხადა არგენტინის პრეზიდენტმა კარლოს მენემმა.** არგენტინის რესპუბლიკის მეთაური ბოლივიაში ჩავიდა ამ ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე ხაიმე პასა სამორის დამტკიცების ცერემონიაზე. პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას კარლოს მენემმა აღნიშნა, რომ დადგა დრო, როცა კონტინენტის ხალხები ეკონომიკურიდან პოლიტიკურ ინტეგრაციაზე უნდა გადავიდნენ. ასეთი გზა ლოგიკურია ხალხებისათვის, რომლებიც ერთ ენაზე ლაპარაკობენ, საერთო რელიგია და საერთო ისტორია აქვთ.

ფოტოინფორმაცია

დღეს ბრემენი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი ქალაქთაგანია, თავისი მძლავრი მრეწველობით, ვაჭრობით, საბანკო-სადაზღვევო საქმით. მის ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს საზღვაო და სამდინარო ნავსადგურები, მაგრამ, უეჭველია, უცხოელ ტურისტებს განსაკუთრებით იზიდავთ ქალაქის ძველი ნაწილის ღირსშესანიშნაობანი, რომლებიც დიდი მზრუნველობით არის რესტავრირებული და ნაპატრონები.

• • •

სურათზე: ქალაქის სიმბოლოდ იქცა საქვეყნოდ ცნობილი „ბრემენელი მუსიკოსების" ძეგლი (გერჰარდტ მარქსის ნამუშევარი).

საქდესის ფოტო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

იუნესკოს საქმეთა საბჭო

იუნესკოს საპროგრამო საქმიანობაში რესპუბლიკის კულტურული, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლებლების უფრო ფართოდ ჩაბმის, ამ საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის პოპულარიზაციის ინტერესებისათვის, აგრეთვე რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით იუნესკოს ექსპერტებად სამუშაოდ სპეციალისტების მივლინების დამოუკიდებლად შერჩევისათვის, ამ სამინისტროსთან შეიქმნა საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭო.

საბჭო მიზნად ისახავს იუნესკოს საპროგრამო საქმიანობაში კულტურული და სამეცნიერო დაწესებულებების, სასწავლებლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობას, მისი შესაძლებლობების გამოყენებას საქართველოს საზოგადოებრიობის საქმიანობაში რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მისაღწევად; აწარმოებს სპეციალისტების დამოუკიდებელ შერჩევას ექსპერტებად სამუშაოდ გასაგზავნად; არეგულირებს რესპუბლიკის მონაწილეობას ახალგაზრდობის სწავლების, სპეციალისტების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში, რომელსაც იუნესკო ახორციელებს.

იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდი

შეიქმნა საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების თვითმართვადი არაკომერციული საზოგადოებრივი ფონდი.

ფონდი მოაწყობს და დააფინანსებს ჩვენი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებით სტუდენტების, ასპირანტების, მასწავლებლებისა და მენეჯერების მომზადებას საზღვარგარეთის სასწავლო ცენტრებში. მისი საქმიანობა მიზნად დაისახავს იმას, რომ ხელშემწყობი პირობები შეუქმნას რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევას.

საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდს ენიჭება უფლება შექმნას საწარმოები, მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნებთან ერთობლივი საწარმოები, რომლებიც ფონდში გადმორიცხავენ მოგების 50-მდე პროცენტს.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს, ერთობლივ საწარმოებსა და კოოპერატივებს რეკომენდაცია მიეცათ გადარიცხონ სავალუტო მოგების ნაწილი ფონდში, ხოლო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც აქვთ სასწავლებლები, — მიიღონ მონაწილეობა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდის შექმნასა და მისი საქმიანობის დაფინანსებაში.

საქართველოს სსრ იუნესკოს საქმეთა საბჭოს განათლების ფონდში უკვე გადარიცხულია 50 ათასი მანეთი.

ზოგიერთი უცხოელი სპონსორი უკვე მზად არის მიიღოს მონაწილეობა ამ ფონდის მუშაობაში. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

— ამას წინათ გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე გამოქვეყნდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს წერილი, რომელმაც მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ბატონო ხუტა, გთხოვთ მოკლე კომენტარი გაუკეთოთ ამ წერილს.

— ჩვენი სამდივნოს გადაწყვეტილებანი, როგორც მოსალოდნელი იყო, გულთბილად მიიღო რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ.

არაერთმა ცნობილმა მწერალმა, რომელთა სახელებიც ამშვენებს მშობლიურ ლიტერატურას, გამოთქვა სურვილი, იცხოვროს და იმუშაოს ქალაქ თელავში — საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ კულტურულ ცენტრში. წარმოიდგინეთ, რამდენ სიკეთეს მოუტანს მშობელ ერსა და ქვეყანას სახელმწიფო ინსტიტუტის საქართველოს მწერალთა კავშირის თელავის განყოფილების, ალმანახ „ალაზნის" რედაქციის ერთობლივი ღონისძიებანი!

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ახალშექმნილი ალმანახი (წელიწადში თითოეული მათგანი ოთხჯერ გამოვა) საქართველოს მწერალთა კავშირისა და მისი განყოფილებების ორგანო იქნება. ალმანახები მიიწვევენ ცნობილ მწერლებს და ნიჭიერ ახალგაზრდა ლიტერატორებს, განურჩევლად იმისა, თუ სად ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ისინი.

რამდენიმე წელია ნაყოფიერად მუშაობს საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილება (პასუხისმგებელი მდივანი — პოეტი ჯემალ ინჯია). გორს დღემდე ჰქონდა არაპერიოდული გამოცემა „ლიახვი", რომელსაც ათეული წლების მანძილზე რედაქტორობდა სახელოვანი მწერალი, ლიტერატურული ახალგაზრდობის უანგარო აღმზრდელი და დიდი მეგობარი ოთარ ჩხეიძე. მისი წინადადებით ალმანახ „ლიახვს" სათავეში ჩაუდგება ცნობილი მწერალი მერაბ ელიოზიშვილი. ამიერიდან დედაქართლის ლიტერატურული ცხოვრების აქტიური მონაწილე და მესვეური ხდება ეს შესანიშნავი პროზაიკოსი, სცენარისტი და პუბლიცისტი.

ქალაქმა ზუგდიდმა, ისევე როგორც მისმა მახლობელმა რაიონებმა, არაერთი ღირსეული მწერალი მისცა მშობლიურ მწერლობას. მათ შორისაც არიან მსურველნი იმისა, რომ შეიქმნას საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილება. ამ განყოფილებაში გაერთიანდებიან ზუგდიდისა და ახლომდებარე რაიონებში მცხოვრები ლიტერატორები (რაულ ჩილაჩავა, ჯემალ დავლიანიძე, ვალერიან სალლიანი და სხვები).

სადიდებლად სრულიად საქართველოსა

გვესაუბრება საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, საქართველოს საბავშვო ფონდის თავმჯდომარე, პოეტი **ხუტა ბერულავა**

გვწამს, რომ აღნიშნული რეგიონების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები მხარს დაგვიჭერენ ამ მნიშვნელოვანი ეროვნული საქმის განხორციელებაში — შესაფერის შენობებს გამოუყოფენ მწერალთა კავშირის განყოფილებებსა და ალმანახების რედაქციებს. რაც შეეხება საბინაო პირობებს, საქართველოს ლიტფონდი სათანადო თანხებს გაიღებს თელავსა და ზუგდიდში, აგრეთვე სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მწერალთათვის საცხოვრებელი ბინების ასაშენებლად.

შემიძლია დავარწმუნო მწერალთა კავშირის წევრები, აგრეთვე ნიჭიერი ახალგაზრდა ავტორები, რომ თავიანთ მშობლიურ ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებ ჩვენს კოლეგებს ფართო გზას მისცემენ რესპუბლიკის გამომცემლობები და ჟურნალ-გაზეთები. ამ მხრივაც დიდი იმედი გვაქვს ტელევიზიის და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მხარდაჭერისა.

— საქართველოს მწერალთა კავშირი სხვა რეგიონებშიც ხომ არ აპირებს თავისი განყოფილებების შექმნას და ალმანახების დაარსებას?

— ეს საკითხი თვითონ ცხოვრებამ დააყენა. ჩვენი ეროვნული ალორძინების პროგრამის განხორციელებას მწერალთა კავშირის განყოფილებებმა და მისმა ალმანახებმაც უნდა შეუწყონ ხელი. ასეც იქნება. საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა ოცნებობს, უახლოეს დროში ოზურგეთსა და რუსთავში შექმნას მწერალთა კავშირის განყოფილებები.

— ხომ არ იქმნება საშიშროება იმისა, რომ ახალ გამოცემებს კუთხურობის ელფერი დაეტყობა? ხომ არ მიეცემათ შეღავათები მხოლოდ ადგილობრივ ავტორებს?

— ისეთი სახელოვანი მწერლები უხელმძღვანელებენ განყოფილებებსა და ალმანახებს, რომ ასეთი რამ გამორიცხულია. დახვეწილი პროფესიული ოსტატობა — აი, რა უნდა იყოს მთავარი კრიტერიუმი დასაბეჭდი მასალების შერჩევისას. გზა გაეხსნება მხოლოდ ნიჭს.

— როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნო აცხადებს, სასურველია 1990 წელს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის გახსნა ქალაქ ზუგდიდში. ხომ არ გამოიწვევს ეს დასავლეთ საქართველოში უკვე გახსნილი უმაღლესი სასწავლებლების ან ფილიალების შემცირებას, ან სხვა ქალაქიდან გადმოტანას?

— არავითარ შემთხვევაში! სიმწრით მოპოვებული უმაღლესი სასწავლებლების და მათი ფილიალების ხარჯზე ზუგდიდის ინსტიტუტის გახსნას რაღა აზრი ექნებოდა?! იმისათვის, რომ ამ კუთხის სწავლას მოწყურებული ახალგაზრდობა მეტწილად საბჭოთა კავშირის შორეულ ქალაქებში არ მიემგზავრებოდნენ სწავლის გასაგრძელებლად, ქართველი მწერლების აზრით, აუცილებელია ამ უმაღლესი სასწავლებლის აღდგენა, რომელიც, ომის დღეებში კი არა, როგორც ჩვენ ვწერდით, 1952 წელს დაიხურა. როცა სტუდენტები შინიდან ივლიან, მათ მშობლების ყურადღება და მზრუნველობა არ მოაკლდებათ, უკეთესადაც ისწავლიან და სამაგალითო მამულიშვილებიც გამოვლენ.

რაც შეეხება ინსტიტუტის პროფილს, ამას ჩვენზე უფრო კარგად გადაწყვეტენ საქართველოს განათლების სამინისტროს მესვეურები.

ასე რომ, ზუგდიდის მომავალი ინსტიტუტი ხელს არ შეუშლის არც ერთ დღემდე შექმნილ სხვა უმაღლეს სასწავლებელს ან ფილიალს. უფრო მეტსაც მოგახსენებთ: ოზურგეთის ზონაშიც ვისურვებდით უახლოეს დროში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას. საქართველოს ბედითა და ნათელი მომავლით სისხლხორცეულად დაინტერესებული ჩვენი მგზნებარე ახალგაზრდობა, მათ შორის საბავშვო სახლების აღსაზრდელებიც იმსახურებენ იმას, რომ მათი სიკეთისთვის არაფერი დავიშუროთ.

ამას ასე თამამად იმიტომ ვამბობთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ყოველმხრივ მხარს უჭერენ მწერალთა კავშირის ყველა წამოწყებას.

— კიდევ ერთი შეკითხვა, ბატონო ხუტა. ხომ არ გაგვაცნობდით რომელიმე გამოხმაურებას თქვენს მიერ გაზეთ „კომუნისტში" დაყენებული საკითხის თაობაზე?

— საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატის მუხრან მაჭავარიანის და მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნების სახელზე ყოველდღე მოდის უზარმაზარი ფოსტა — გამოხმაურებათა ნაკადი. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას: ქართველი ხალხი არასოდეს ყოფილა ისე ახლოს თავის მწერლობასთან, როგორც ამჟამად. წერილების ავტორები ერთსულოვნად ემხრობიან ჩვენი ეროვნული ინტერესების დასაცავად, სრულიად საქართველოს სასიკეთოდ მწერალთა კავშირის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს.

აი, ერთ-ერთი წერილი, რომლის ავტორია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგე, პროფესორი თინა ფიჩხაია:

„დიდი სიხარული გამოიწვია თქვენმა წერილმა გაზეთ „კომუნისტში". მხურვალედ ვუჭერ მხარს ქალაქ ზუგდიდში უმაღლესი სასწავლებლის შექმნას. თქვენი წინადადება დიდებულია. ჩვენი ახალგაზრდობა თავისი ნიჭიერებით, შრომის უნარით, ერის სიყვარულით ღირსია ამ დიდი საჩუქრისა და, მჯერა, დიდად დააფასებს ამაგს.

ვალდებულად ვთვლი თავს, თუ თქვენი დასტური იქნება, გარკვეული წვლილი შევიტანო ინსტიტუტის საორგანიზაციო საქმეებში, როგორც ქიმიკოსმა და პედაგოგმა. ალბათ, საჭირო იქნება წინასწარი სამუშაოები ქიმიის ლაბორატორიების მოწყობა-მომარაგებისათვის, ახალგაზრდა ქიმიკოსთა ღირსეული კადრების შერჩევისათვის და მრავალი სხვა, სადაც საჭირო იქნება კეთილი გული და ერთგული საქმიანობა. ვიმუშავებ უანგაროდ".

რა თქმა უნდა, ქალბატონ თინას თანადგომა და ძვირფასი გამოცდილება დიდად გამოადგება მომავალი სასწავლებლის კოლექტივს. არ გვეეჭვება, საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრო მადლობის გრძნობით მიიღებს პროფესორ თინა ფიჩხაიას და მისი კოლეგების პატრიოტულ თანადგომას.

სრულიად საქართველოს დიდი მომავალი ახალი კეთილი საქმეებისთვის მოგვიწოდებს.



მიჰქრის, მიმაფრენს...

ვარლამ გენგიურის ფოტო.

სპორტის ამბები

რეალური საფრთხე

ვეხმაურებით წერილს „ეს გასათვალისწინებელია!"

ეს მოხდა შარშან, სალონიკში (საბერძნეთი) ქალთა XIII საჭადრაკო ოლიმპიადაზე. ოლიმპიადის გმირმა, უნგრეთის გუნდის წევრმა, 12 წლის იუდით პოლგარმა უარი თქვა, მიეცა ინტერვიუ საბჭოთა ტელეჟურნალისტებისათვის. საბჭოთა პრეს-ატაშემ ა. როშალმა დახმარებისთვის იუდითის მამას ლასლო პოლგარს მიმართა. მან საყვედური გამოთქვა უნგრეთის, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის პრესის მიმართ, მათ ცილი დამწამეს, თითქოს ჩემი გოგონების საეჭვო რეკლამას ვეწევოდეო. როცა ა. როშალმა უთხრა, რომ ამას წინათ, „პრავდაში" შეაქო მისი სიმპათიური ქალიშვილები, ლასლო პოლგარი კიდევ უფრო გაცხარდა. გაირკვა, რომ სწორედ ამ წერილში მას არ მოეწონა ერთი ფრაზა — „პოლგარების თვალსაჩინო მიღწევების მიუხედავად, მაია ჩიბურდანიძე მაინც რჩება მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკედ".

რა დასამალია, ახლა ევროპასა და ამერიკაში ბევრს უძლიერეს მოჭადრაკედ იუდით პოლგარი მიაჩნია. ეს აღიარება გოგონას ფენომენალურმა წარმატებებმა მოუტანეს. შარშან, „ჭადრაკის ოსკარი" მას გადაეცა, თუმცა მაია მეხუთედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. სულ ახლახან ფიდემ გამოაცხადა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რეიტინგები (ძალის ციფრობრივი მაჩვენებელი) 1989 წლის 1 ივლისისათვის. აქაც პირველ ადგილზეა იუდით პოლგარი, მეორეზე — ჟუჟა პოლგარი, მაია ჩიბურდანიძე კი მესამეზეა.

დრო წყალს ასხამს პოლგარების წისქვილს, ისინი სულ უფრო ოსტატდებიან, იმდიდრებენ ცოდნას, იძენენ გამოცდილებას. მართალია, დღეს პოლგარები ვაჟთა ჭადრაკს ერთგულობენ, გარი კასპაროვის ტახტს ემუქრებიან, მაგრამ ხვალ შეიძლება შეიცვალონ მიზნები, მით უმეტეს, რომ გარი კასპაროვი ურჩევთ ჩემთან შეხვედრამდე, შეგიძლიათ, ჯერ ჭადრაკის დედოფლის ტახტს დაეუფლოთო.

სწრაფ ჭადრაკში მსოფლიო პირველობის (1988 წ. დეკემბერი, კანადა) შემდეგ დიდოსტატი ნანა იოსელიანი წერდა: „პოლგარები მართლაც „არსებობენ" და ძალიან რეალურადაც. მერე გვიან რომ არ იყოს, ახლავე მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ მათ ფენომენს. არ შეიძლება თვითდამშვიდებას მივეცეთ. მართალია, დედოფლის ტახტამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილი აქვთ გასავლელი, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. დრო ისე შემოგვადნება ხელში, ვერც კი გავიგებთ".

შეიძლება ვინმემ იკითხოს: განა ანგარიშში აღარ არიან მისაღები ჩვენი სახელოვანი დიდოსტატი ქალები? როგორ არა, ისინი კვლავ რჩებიან გვირგვინის მთავარ მაძიებლებად. პოლგარებმა ჯერ მათ უნდა აჯობონ, ვიდრე მაიას მეტოქენი გახდებიან. ეს არც ისე ადვილია. მიუხედავად ამისა, ნანა იოსელიანის ზემოთმოყვანილი სიტყვები ყველა ქართველ დიდოსტატს შეეხება და არამარტო მათ.

აქამდე დებ პოლგარებს სხვადასხვა ტურნირში შეხვედრიან მაია ჩიბურდანიძე და ნანა იოსელიანი.

მაია სამჯერ შეხვდა ჟუჟას და ერთხელ იუდითს. ჟუჟა ორჯერ იყო მის მეტოქე ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაზე (ორივე პარტია ყაიმით დამთავრდა) და ერთხელ ბილბაოს (ესპანეთი) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში ა. კარპოვის მონაწილეობით. ბილბაოში მაიამ დაუმარცხებლად მესამე ადგილი დაიკავა, ჟუჟამ — მეხუთე. მათ შეხვედრაში მაიას უკეთესი პოზიცია ჰქონდა, როცა დაზავების წინადადება მიიღო.

იუდითს მაია შეხვდა შარშან, კანადაში მსოფლიო პირველობაზე სწრაფ ჭადრაკში. მღელვარე ბრძოლის დასასრულს მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ჟურნალ „64"-ის კორესპონდენტი წერს: პარტია რომ დამთავრდა, მაიამ შვებით ამოისუნთქა და თქვა არც ისე სასიამოვნო იყო თამაში, იუდითი სულ ჩემს მეფეს უმიზნებდაო. ამ ტურნირში ნანა იოსელიანი დამარცხდა სოფი პოლგართან.

იუდით პოლგარი მართლაც „ფანტასტიკურად ნიჭიერი გოგონაა" (ა. როშალი), უშეღავათოა დაფასთან, თამაშობს ასაკისთვის შეუფერებელი სიდინჯით, ავლენს დიდ ცოდნასა და საოცად მიხვედრილობას. ანატოლი კარპოვის თქმით, 12 წლის ასაკში იგი და გარი კასპაროვი ვერ თამაშობდნენ იუდითის დონეზე.

მაია ჩიბურდანიძეს ჩემპიონის ტიტულის დაცვა 1991 წელს უწევს. მანამდე საკმაო დროა, რომ ჩემპიონი კარგად მოემზადოს. მაია ენერგიულად და სისტემატურად მონაწილეობს დიდოსტატ ვაჟთა ტურნირებში. ამას წინათ წარმატებით გამოვიდა (10-დან 6 ქულა) ფილადელფიის (აშშ) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში. მაგრამ მატჩისთვის მზადება, ისიც მაშინ, როცა ჰორიზონტზე ახალი შესაძლებელი პრეტენდენტები გამოჩნდნენ, განსაკუთრებულ მეცადინეობას მოითხოვს.

„კომუნისტის" მიმდინარე წლის 14 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული წერილისადმი „სამი და უნგრეთიდან" სარედაქციო მინაწერში თხოვნაა, რომ სპეციალისტებმა გამოთქვან თავიანთი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჩემი აზრით, მაია ჩიბურდანიძის მომზადების საკითხი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პირველი საზრუნავი უნდა გახდეს. მაგრამ, ვაი, რომ ხუთი წელი მაინც იქნება, რაც ფედერაციის პრეზიდიუმი ერთხელაც არ შეკრებილა. კარგა ხანია მას თავმჯდომარე არა ჰყავს. ერთხელ საგანგებო თათბირი გაიმართა საქართველოს სპორტსახკომში, მაგრამ მას არ დასწრებიან მაია ჩიბურდანიძე (თბილისში არ იყო), არც სხვა დიდოსტატი ქალები. ამიტომ, ზოგი საკითხი ღიად დარჩა. ალბათ, უახლოეს ხანში ქართული ჭადრაკის მესვეურები კვლავ დაუბრუნდებიან პოლგარებთან შესაძლო ბრძოლის საკითხს.

უეჭველია, ღრმა და ყოველმხრივ მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს. საკმარისია გავიხსენოთ, როგორ დაამარცხა მსოფლიო პირველობის მატჩში 50 წლის ბოტვინიკმა მასზე 25 წლით უმცროსი, ჭეშმარიტად დიდი მოჭადრაკე მ. ტალი. ჩემი აზრით, გადაუდებლად, რაც შეიძლება მალე უნდა მოეწყოს მაიასა და მის მწვრთნელებთან თათბირი. შემუშავდეს მზადების გეგმა და დაწესდეს კონტროლი მის შესრულებაზე. აუცილებელია გაზმირდეს მაიას და მოწინავე ჩვენი დიდოსტატების შეხვედრები პოლგარების წინააღმდეგ საჭადრაკო დაფასთან, რადგან მათზე უშუალო დაკვირვება, ფსიქოლოგიური მომენტების აღნუსხვა-ანალიზი დაგვეხმარება პოლგარების ბუნების, ჩვევების შესწავლაში. ალბათ, საჭიროა ვ. გოგლიძის უახლოეს მემორიალში (ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი) მოვიწვიოთ დები პოლგარები (მონაწილეობისათვის ისინი დიდ გასამრჯელოს ითხოვენ, მაგრამ ამას, ალბათ, მოევლება) და შევახვედროთ ისინი მაიას, ნონა გაფრინდაშვილს, ნანა იოსელიანს, ნანა ალექსანდრიას და სხვებს. ამავე დროს, ჩვენმა მწვრთნელებმა მთელი სიგრძე-სიგანით უნდა შეისწავლონ პოლგარების საჭადრაკო შემოქმედება, ცოდნის სიღრმე, თამაშის ხარვეზები და სხვ.

უდავოა, რომ ჭადრაკის სარბიელზე გამოჩნდნენ მოჭადრაკეები, რომლებიც შეიძლება სერიოზულად დაემუქრონ ჭადრაკის დედოფლის ტახტს. ეს რეალური საფრთხეა და საჭიროა აქედანვე მივიღოთ ზომები.

თენგიზ გიორგაძე,
საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დოცენტი, საერთაშორისო არბიტრი.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში კვლავინდებურად არ მუშაობენ მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები და ორგანიზაციები, მათ შორის მარტო ოჩამჩირის რაიონში — 88. განვლილი დღე-ღამის მანძილზე მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმის დარღვევისათვის დაკავებულია 165, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორში შიმშილობას განაგრძობს 21 კაცი.

სამართალდამცავი ორგანოები კვლავ მუშაობენ მოსახლეობისაგან იარაღის ჩამოსართმევად. განვლილი დღე-ღამის მანძილზე აფხაზეთში ჩამორთმეულია 21 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის 9 ხრახნლულიანი, სულ კი 16 ივლისიდან განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მთლიანად რესპუბლიკაში ჩამორთმეულია 2882 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის 7 ტყვიამფრქვევი, 174 ავტომატი, 66 პისტოლეტი, 286 შაშხანა, 2299 სანადირო თოფი, აგრეთვე 1846 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება. ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება.

რაც შეეხება ოპერატიულ ვითარებას მთლიანად რესპუბლიკაში, იგი სტაბილურია. დღე-ღამის მანძილზე რეგისტრირებულია 9 დანაშაული, რომელთაგან ექვსი „ცხელ კვალზეა" გახსნილი. ამ დროის განმავლობაში ჩადენილია პირადი ქონების 4 ქურდობა და ძარცვა-ყაჩაღობა და სახელმწიფო ქონების ერთი ქურდობა, ავტოტრანსპორტის ორი გატაცება, 8 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომელთაგან ერთი სიკვდილით დამთავრდა; ერთი კაცი დაშავდა.

პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოები კონტროლს უწევენ სიტუაციას რესპუბლიკაში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

სოციალური სფერო

● თერჯოლის რაიონის სოფელ ჭოგნარის მოსახლეობა განთქმულია ქვის დამუშავების ოსტატობით. აქ ყველა სახლი ქართული ორნამენტებით მოჩუქურთმებული ქვებით არის მოპირკეთებული. გაოცებას იწვევს მათი მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა, სიზუსტე, ორიგინალობა.

ეროვნული ჩუქურთმის მჭრელები

საქვეყნოდ ცნობილია ჭოგნარელი ქვის მთლელების — ბერეკაშვილების, ბასილაძეების, კობახიძეების, არეშიძეების, ელიავების, ცხადაბერიძეების და სხვათა ხელოვნება, რომელთა მიერ თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმსა თუ სხვა ქალაქებში აგებული და მოჩუქურთმებული შენობები დღესაც ყურადღებას იპყრობენ.

გასული წლის პირველ ნახევარში სოფელ ჭოგნარის საბჭოთა მეურნეობასთან ეკლარის ქვის კარიერების ბაზაზე ქვის დამუშავების ოსტატებმა ცხადაბერიძეებმა ჩამოაყალიბეს კოოპერატივი, რომელსაც „ჩუქურთმა" უწოდეს.

ალექსანდრე ცხადაბერიძემ მამისა და ბაბუისაგან ნაბოძები ხელობა თავის ექვს ვაჟიშვილს შეასწავლა. პირველად მათ შინ დაიწყეს მუშაობა, რისთვისაც კერძო რეწვა დააბრალეს და უშრომელი შემოსავლით ცხოვრება დასწამეს. ბოლოს, როგორც იქნა, გარდაქმნის წყალობით, პატიოსან-საქმეველმა თავისი გზა არ დაკარგა. კოოპერატივში გაიშალა მათი, როგორც ხელოვანი ხალხის შემოქმედება, წარმოჩნდა მომადლებული ნიჭი.

იუზას, ჯანიკოს და ავთანდილს დამთავრებული აქვთ ვანის ქვის მხატვრული დამუშავების სამხელოსნო სასწავლებელი, ანზორს უმაღლესი ტექნიკური განათლება აქვს მიღებული, შიომ და ტარიელმა საშუალო სკოლა დაამთავრეს, და პირდაპირ ქვის ხელობას დაეწაფნენ. მათთან ერთად მუშაობს გოგი გუგავაც. კოოპერატივს შიო უდგას სათავეში.

კოოპერატივში ყველაფერი ამ გამრჯე და დაუღალავი ადამიანების ნახელავია. ააგეს ორი კორპუსი, შიგ დაამონტაჟეს დაზგა-დანადგარები, საჭრისები თვითონვე შექმნეს, შეიმუშავეს ქვის დამაგრების ტექნოლოგია და სხვა. ისინი ასრულებენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო შეკვეთებს.

სახელოსნოებში ყურადღებას იპყრობს ფანჯრის კარნიზები, ბუხრები, მოაჯირები, მოპირკეთებული ფილები, ქვაზე ამოკვეთილი ქართული ორნამენტები, ჩუქურთმები, თაღები და სხვა ნაკეთობები.

გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის კოოპერატივის წევრებმა შარშან 24 ათასი მანეთი მიიღეს. მათი გამოგონებები სსრ კავშირის მრავალ საწარმოში დაინერგა.

კოოპერატივი რენტაბელურია. შარშან მიღებულმა თანხამ 124 ათას მანეთს გადააჭარბა. წელს კი უკვე 80 ათასი მანეთია შემოსული. აღსანიშნავია ისიც, რომ კოოპერატივი შემოსავლის გარკვეულ ნაწილს სისტემატურად რიცხავს ქვეყნის განვითარების და სოცდაზღვევის ფონდებში, ბიუჯეტში და სხვაგან. ახლო მომავალში კოოპერატივის წევრები საქველმოქმედო ფონდშიც ჩარიცხავენ თავიანთ დანაზოგებს. რაც მთავარია, პროდუქციის ფასები სახელმწიფო სტანდარტებთან შედარებით დაბალია. საერთოდ არ მიუღიათ პრეტენზია. ისინი მოსახლეობასაც და სახელმწიფოსაც ერთნაირად ხარისხიანად უსრულებენ შეკვეთას.

ჩუქურთმის მჭრელი ჭოგნარელი ოსტატები ზურაბ წერეთლისა და მერაბ ბერძენიშვილის პროექტების მიხედვითაც ასრულებენ შეკვეთებს. მათი მოპირკეთებულია ქ. ქუთაისის და საბერძნეთის ქალაქ ნიკეას — დაძმობილებული ქალაქების — მემორიალი ქუთაისში, ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის შენობა, ასსაფეხურიანი კიბე ქუთაისის რკინიგზის სადგურთან, თერჯოლის შრომის სახლი, კინოთეატრის, პარტიის რაიომული კომიტეტის შენობა, წყალტუბოს სანატორიუმები. სულ მალე შეუდგებიან დიდგორის მემორიალის მოპირკეთებას.

ამას წინათ კოოპერატივის წევრები თბილისში შეხვდნენ იტალიის ქალაქ მილანის ქვის დამმუშავებელი ფირმის „ბრეტონის" წარმომადგენლებს. მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. იტალიელმა სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს ჭოგნარელი ოსტატების ხელოვნებას და აღნიშნეს, რომ კოოპერატივ „ჩუქურთმის" ნაწარმი ქვის მხატვრული დამუშავებით ევროპის განვითარებული ქვეყნების დონეზე დგას. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოსალოდნელია დანადგარების, მოწყობილობების და პროდუქციის გაცვლა.

ახლო მომავალში კოოპერატივს გამოუყოფენ კარიერს. კეთილმოეწყობა ეზო, შემოიყვანენ სასმელ და ტექნიკურ წყალს, მოეწყობა საშხაპეები, გაიყვანენ ტელეფონის ხაზს, გააფართოებენ საწარმოო უბნებს. ტარიელი არჩეულია რესპუბლიკის კოოპერატორთა პირველი ყრილობის დელეგატად. ყრილობის გადაწყვეტილებებით კიდევ უფრო გამდიდრდება კოოპერატივ „ჩუქურთმის" შემოქმედების არე, დაიხვეწება მათი საქმიანობა.

მთავარი სირთულეები დაძლეულია. მიზანი ნათელია. კეთდება ეროვნული და საშვილიშვილო საქმე, ქართულ ჩუქურთმას თავისი პატრონი ჰყავს. ცხადაბერიძეების ჩანაფიქრიც ხორცს ისხამს. ჭოგნარელ ოსტატთა ხელოვნების მრავალი ნიმუში კვლავ დაამშვენებს ჩვენი ქვეყნის ახალმშენებლობებს. ქართული ჩუქურთმა კიდევ მეტ ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს ათასობით ადამიანს.

ჰენრი შარიქაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ახალი წიგნები

უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" მკითხველს პოეტ ალექსანდრე შანიძის რჩეული მიაწოდა, რომლისთვისაც ავტორს „დაბინდებამდე" დაურქმევია.

რჩეულში შესული ყოველი ლექსი მკითხველს ხიბლავს კეთილი ინტონაციითა და ნათელი მსოფლშეგრძნებით. ამ ლექსებიდან ზოგი ზედმიწევნით მშვიდი და წყნარია, ზოგიც შემართული და ბობოქარი, მაგრამ ყოველ მათგანში იმის პოეტის გულისძგერა, მისი სიყვარული და ერთგულება მამულის წარსულისა და აწმყოსადმი.

რჩეულში შეტანილ ლექსთა ერთ ნაწილს მადლისა და სიკეთის დაღი აზის, ადამიანთა ნების, სიცოცხლის, სიყვარულის გამომხატველია. ამ ლექსებში ძალუმად ჟღერს სიტყვის სიმტკიცეც და მზადყოფნაც დედასამშობლოს დასაცავად, გასამხნევებლად.

პოეტი უმღერს დედაქალაქს, გორს და ქუთაისს, უმღერის სამგორს, რაჭას, გურიას, შეჩხარის მამულს, „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტოვან" მხარეს: „ოქროს ყალმით მოხატულო, შენ, თბილისო, ქართლის გულო, მზიურ სხივთა ლაჟვარდებით ცის თაღამდე აზიდულო, შენი მსგავსი სხვა ქალაქი სად ვიპოვო, სად ვიგულო". ყოველ ლექსს თან უზის დაბადების დღე, წელიწადი, და ხატოვნად წარმოგვიდგენს, გადმოგვცემს დროის მაჯისცემას.

საუცხოოა საბჭოთა კავშირის გმირის ნოე ადამიასადმი, გრიგოლ სხულუხიასადმი, პეჟიკო ბენდელიანისადმი, შოთა გამცემლიძისადმი, კაპიტან მიხეილ ზუხაიძისადმი, მიხეილ გახოკიძისადმი მიძღვნილი ლექსები... ამაყად ჟღერს წასულთა ხსოვნის მისაგებელი ლექსები: „სად ვიპოვნო, ვინ მაჩვენებს იმ ბაღნარს და ედემს, საოცნებოდ რომ მიაჩნდათ ივერიელ დედებს"...

უღელვებლად ვერ წაიკითხავთ ილიას, აკაკისა და ვაჟას, გალაკტიონის, გიორგი ლეონიძისა და ლადო ასათიანისათვის მიძღვნილ სტრიქონებს.

„ჩემო ტკბილო მეგობარო, შენი ნახვა მენატრება; ჩემო ტკბილო მეგობარო, გული რაზე გიღონდება!.. ვიცი, ვიცი ვეღარ განახავ, გულს მედება სინანული, შენ ვარდები გიკრეფია, მე კი შენი სიყვარული" — ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ ფრიად პოპულარული და საყვარელი სიმღერის ეს სიტყვები ალექსანდრე შანიძეს ეკუთვნის.

პოეტის ლირიკის მუდმივი მოტივებია მშობელი მხარის, საქართველოს განსაცვიფრებლად ნაზი ბუნება, მისი ტყე და მინდორი, მისი მთა-ბარი, მისი მშვენიერი ადამიანები: „იქ დაიბადა ჩემი მზექალა", „მოხევე ქალს", „მგზავრს მთებში შემომაღამდა", „ფასანაურთან", „ჩვენს მამულში", „ქართველ ქალს" და მრავალი სხვა.

წიგნი გვასწავლის, გვარწმუნებს ჭეშმარიტებაში — უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, უნდა ვიმეგობროთ, პატივისცემით მოვეპყრათ შორებელსა და ახლობელს. წიგნი გვასწავლის შრომის სიყვარულს, სამშობლოს ერთგულებას. ამაში ხედავს პოეტი შემოქმედების, პოეზიის აზრსა და მნიშვნელობას.

ჯუმბერ ჩიქოვანი.



დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, აღმოსავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 30-35, ზღვისპირეთში 25-30, მთაში 27-32, მაღალმთიანეთში 21-26 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარში 32-37, მთაში 25-30, მაღალმთიანეთში 21-26 გრადუსი.

თბილისში დარი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — 35-37 გრადუსი.

ლაშა ჯანჯღავა — საერთაშორისო ოსტატი

ფიდეს საკვალიფიკაციო კომიტეტმა საერთაშორისო დიდოსტატისა და ოსტატის წოდებები მიანიჭა საბჭოთა მოჭადრაკეების დიდ ჯგუფს.

საერთაშორისო ოსტატის წოდება სხვებთან ერთად მიენიჭა ქართველ მოჭადრაკეს, თბილისელ ლაშა ჯანჯღავას. 19 წლის ჭაბუკი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტია. იგი ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეთა შორის ყველაზე ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატია. სულ მალე იგი დრეზდენს გაფრინდება და მონაწილეობას მიიღებს დიდ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში.

დიდი ნადავლით

წარმატებით დაამთავრეს კლასიკური ჭიდაობის ჭაბუკმა საბჭოთა ოსტატებმა მსოფლიო პირველობა, რომელიც უნგრეთის დედაქალაქში გაიმართა და რომელშიც 20 წლამდე ასაკის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. საბჭოთა ნაკრებმა 50 ქულა მოაგროვა და 5 ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მეორე ადგილზე ბულგარელები გამოვიდნენ, მომდევნოზე კი პოლონელები და კუბელები.

სხვებთან ერთად ჩვენი გუნდიდან უძლიერესის ტიტული მოიპოვეს ქუთაისელმა გიორგი კოღუაშვილმა (90-მდე კგ) და თბილისელმა ნაიბი დვალიძემ (100 კილოგრამამდე).

ზუგდიდის „დინამო" — ნახევარფინალში

ბრძოლდება საკავშირო თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს შორის.

ასპარეზობაში წარმატებით გამოდის ზუგდიდის „დინამო". მისი მოწინააღმდეგე ნახევარფინალში შევჩენკოს „ტრუდი" იყო. პირველი მატჩი ზუგდიდელებმა სტუმრად ფრედ (1:1) დაამთავრეს. საპასუხო შეხვედრა 6 აგვისტოს ზუგდიდში უნდა გამართულიყო. მაგრამ მოწინააღმდეგე მატჩზე არ გამოცხადდა.

ისე, რომ ზუგდიდის „დინამო" ნახევარფინალში ითამაშებს.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

ტელევიზია — შაბათი, 8 აგვისტო

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — ათლეტიზმი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გაზო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „კურიერი". 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.40 — მოსწავლეთათვის „მზე მომავლისა". 18.05 — კინოჟურნალი „ერალაში". 18.15 — ახალგაზრდობისათვის. „სტუდენტურ მერიდიანზე". 18.40 — გარდაქმნის წახნაგები. „როგორ მოვაწყოთ ეკონომიკური შეჯიბრება". 19.15 — კამერული მუსიკის კონცერტი. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „მაიაკოვსკის რაიონი გარდაქმნის გზაზე". 21.10 — საესტრადო კონცერტი „ჩვენთან მაისი მაინც სულ სხვაა". 22.00 — „ვრემია". 22.40 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.50 — ქართული მხატვრული ფილმი „ყვარყვარე".

მეორე პროგრამა. 16.35 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.50 — ფილმ-სპექტაკლი „ყალბი ფული". 20.00 — მოამბე. 20.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მინის გარდამქმნელები". 20.55 — მხატვრული ფილმი „ზოოპარკის ბინადართა სიზმრები". 22.00 — „ვრემია".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — „საზაფხულო პარკში". 10.10 — „რვაფეხა". II სერია. 11.05 — ა. ს. პუშკინის პოემას „პოლტავას" კითხულობს რსფსრ დამსახურებული არტისტი ს. შაკუროვი. 12.20 — თოჯინების თეატრის სამყარო. მე-2 გადაცემა. 13.10 — „ეს იყო.., იყო". 16.35 — ა. ლიადოვის რვა რუსული ხალხური სიმღერა. 17.00 — დოკუმენტური ფილმი. 17.30 — ფილმ-კონცერტი. 17.50 — მულტფილმი. 18.10 — „რას მღერიან დედამიწელი ბავშვები". 19.00 — პარტკომი და გარდაქმნა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ს. რახმანინოვი. რომანსები. 20.25 — მულტფილმი. 20.45 — მოსკოვის მუსიკალური ფესტივალი. 21.00 — მსოფლიო კინოკამერაში. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „რვაფეხა". II სერია. 23.35 — დღეს მსოფლიოში. 23.50 — „რა ხდება ესტონეთში"?. მეორე გადაცემა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.45 — „საუკუნეთა სიღრმიდან მოსული მელოდიები". გადაცემა ალმა-ათიდან. 10.30 — ფრანგული ენა. 11.00 — მღერის ი. სურუჩანუ. 11.30 — მულტფილმები. 12.00 — ახალი ამბები. 12.10 — „ოთხი ტანკისტი და ძაღლი". IV სერია. 13.05 — დოკუმენტური ფილმი „გაკვეთილი". 13.15 — ფრანგული ენა. 13.45 — კონცერტი. 14.00 — ახალი ამბები. 14.10 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „პეტერსი". 15.50 — რიტმული ტანვარჯიში. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — მოკავშირე რესპუბლიკების სტუდიათა ფილმები. „ჩემი სიყვარული რევოლუციაა" (პირველად). 19.30 — მღერის ვ. გოტოვცევა. 19.50 — რიტმული ტანვარჯიში. 20.20 — პოეზიის წუთები. 20.25 — „ტკივილი ანუ ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.20 — სსრკ სახალხო არტისტის ი. გულიაევის კონცერტი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — მოკავშირე რესპუბლიკების სტუდიათა ფილმები. „ჩემი სიყვარული რევოლუციაა". 24.00 — „გასეირნება სტეპის რიტმებში". 0.50 — ახალი ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე — 00381 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14